

ლიტერატურული გაზეთი

№11(171) 3 - 16 ივნისი 2016

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

დავით წერეთლიანი

ფრაგმენტები რეცენზიის მაგიერ

პოეზიის ახალი ანთოლოგია გადავთვალე — „ქართული ლექსი, მეოცე საუკუნე.“

ვიღაცა არასწორად არის გამოტოვებული, ვიღაცა არასწორად არის შეტანილი. როგორც ყველა ანთოლოგიაში ხდება.

მაგრამ... მაგრამ... მაგრამ...

შემდგენლის ადგილას არც თავს გავიწვავებდი და არც სხვას გავწვავებდი — პირდაპირ შევადგენდი, ვერლიბრისასაც არა, პროზაული პოეზიის ანთოლოგიას, იმას დავეჯერდებოდი, რაც გულს უყვარს და ხელს ეადვილება.

სხვათა შორის, არც მაინცდამაინც „ქართულ ლექსს“ დავარქმევდი...

///

ზაზა ბიბილაშვილი

კომენტარი ერთი ფოტოსთვის ფეისბუქიდან

უნდა მიყვარდე — როგორც ვიცოდი —
ნაკლებ სიყვარულს რას გადავიტან —
შენით ან შენი ნდომით ვინვოდე —
და თან მეგონოს — დასაბამიდან...

თვალეებს ვახელდე სულ უფრო გვიან,
ჩავლილი ღამის კვალზე მიმწვარი,
და სულ მიკვირდეს — ცხადი რომ გქვია
და არა — გიყვის ცხელი სიზმარი.

იმ გაკვირვების დიდთვალა დამლა
დამქონდეს მერე, როგორც საბუთი —
რომ მართლა მყავხარ —
შენ სახლში მყავხარ —
და მე ქუჩაში გამოვლავყუნდი!.. —

ვიდრე მივხვდები — ცეცხლი არ მყოფნის —
ვინაცრები და მაინც შემცივდა —
და დავბრუნდები შენთან კვლავყოფნის
ცეცხლში უშენოდ ყოფნის ცეცხლიდან...

მე ვბრუნდებოდე სულ უფრო ადრე —
შენ სულ გეგონოს, მაგვიანდება.
და ვერ ვასწრებდე, წამით რომ ჩავქრე —
წამით მასწრებდეს რაკი ანთება.

მერე — ზღაპარში როგორც იცოდა —
ვიდრე მეზღაპრე თავს არ გავიდა —
ყოველი ღამე შენით იწვოდეს,
დასასრულამდე — დასაბამიდან...

რათა როდისმე არყოფნის ქვესკნელს
თუ ჩემი ნდომაც წამოუვლიდა,
წასვლამდე მეთქვა, რომ ქვეყნის შემქმნელს
ქვეყანა კარგი გამოუვიდა.

IV



ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს იარა, განსაკუთრებით კი ისეთს, რომელიც ხელოვნებისკენ არის მიდრეკილი...

არ ვიცი, რატომ, მაგრამ რაღაცნაირად ისე გამოვიდა, რომ ძალიან ბევრი რამე ჩემს ცხოვრებაში პირველად მაშინ მოხდა, როდესაც ცამეტი წლის გავხდი. პირველად მაშინ ნავედით ქალბები მე და ჩემი ძმაკაცი ხოჯა; პირველად მაშინ შემეყვარა და ჩემი კლასელი — შავთმიანი, მინდვრის ყვავილივით პატარა და ლამაზი გოგო; მაშინ გავიპარსე უწვერული ლოყები მამაჩემის „ბეზაპასნით“ და მეორე დღეს ამაყი და სახეანითლებული მივიდი კლასში სპარსის ბასირ პირისგან დატოვებული იარის საჩვენებლად; და სწორედ ცამეტი წლისამ გავსინჯე პირველად ლუდი ფოთში, ბიძაჩემთან და ჩემს სიძესთან ერთად, როდესაც პორტის მახლობლად ვისხედით ერთ პატარა, უბრალო კაფეში — აქეთ გემები ტივტივებდნენ, იქით მტვირთავები მაჯღრიალბუნდნენ გასაზრებ, ძველ ურიკებს. მაგიდებს შორის ოფიციალტი მიმოდიოდა. აი, მანდ დამიდგეს წინ მუქი, ქარვისფერი სითხით სავსე კათხა, რომლის ზედაპირზეც, როგორც ჩემს ზურგს უკან ზღვაზე აზიდული გემი, ისე ტივტივებდა თეთრი ქაფი.

და მახსოვს, რა გავიფიქრე, როდესაც პირველად გავსინჯე ეგ, ჩემთვის უცხო სითხე: მეთქი, ამ საზიზღრობას როგორ სვამენ?! მაგრამ სახალხოდ, სხვების დასანახად, ისე გემრიელად გავისვი ენა ტუჩებზე და ისე მივეწაფე, რომ ჩემმა სიძემ ღიმილით გადახედა ბიძაჩემს — ამას, ნახე, როგორ ყვარებიაო, და მარლის თხელი პირამიდა ამიკოკოლავა კათხის ყელზე — აქედან დაღიე და, აბა, ნახე, როგორ უხდებო! და მერე მეორე კათხა შეუკვეთა ჩემთვის.

ლუდის მერე იყო არაყი, მარტოდ დარჩენილი ძმაკაცის სახლში რომ დავლიეთ, მყრალი და იაფი „ტრიუმფი“ — შავებში ჩაცმული ძალიან დიდი და ძალიან პატარა კაცები რომ უკეთებდნენ რეკლამას. და იქაც, იმ პირველ ყელუპს, როგორც გასროლილი ტყვია, ისე მოჰყვა ფოთის პორტში გაღვებული და ელვისუსწრაფესადვე ჩაკლულ-დამარხული ფიქრი. და ეგ ყველაფერი იყო, როდესაც ცამეტის გავხდი.

ოცდასამისამ კი პირველი რაღაც დავწერე, ავიღე ყელში ამოსული ჩვენი სუფრა, წემსით შევუძვიე ოჯახის წარსული, პილპილივით მოვაცარე ახალგაზრდული ბოღმა და პირდაპირობა, რამდენიმე წვეთი სიკეთეც დავაწვთეთ, ავურიე და ეგრე, უცებ, მძინარე ვულკანით გამოღვიძებული გენისგან აცხცხცხებული ხელებით მივუბრუნებინე დედაჩემს, რომელსაც ვითომ არ უყვარს მაგის აღიარება, მაგრამ ლიტერატურის კარგი მცოდნეა. დედამ წაიკითხა, მომინონა და მე, რაღაცებში ძალიან მორიდებულმა და რაღაცებში კიდევ ძალიან ფეხზემკიდა და უპასუხისმგებლო ახალგაზრდა კაცმა, გადავწყვიტე, რომ მწერალი ვიყავი და წერა დავიწყე. რამდენიმე მოთხრობა გავაგზავნე მამინდელ ყველაზე პრესტიჟულ ლიტერატურულ ჟურნალში — დამიბეჭდეს. კიდევ დავწერე, კიდევ გავაგზავნე და კიდევ დამიბეჭდეს. ერთ გაზეთში რეცენზია დაინერა, ერთ ლიტერატურულ კონკურსში პრემია ავიღე და მორჩა, მწერალი გავხდი — ყველაზე მაგარი მწერალი ჩემს ქვეყანაში. აი, ისეთი, მარტო უცხოელ და გარდაცვლილ კოლეგებს რომ აღიარებენ. პირველს სხვა გაქანება და შესაძლებლობები მისცა თავისივე ქვეყანაში, მკვდრის ქება კიდევ თან ჯიშში გვაქვს და თან ადვილია.

მოკლედ, მწერალი გავხდი და როგორც რაინდმა აბჯარი, ისე შევისხი მწერლური რამე-რუმები. და რა სჭირდება მწერალს? რა თქმა უნდა, სამუშაო ადგილი, გარემო. ასე გაჩნდა ჩემს შიშველ ოთახში ძველი თაროები, რომლებიც სულ მოკლე დროში ავავსე ბუკინისტებისგან ნაყიდი და ინტერნეტიდან გამოწერილი წიგნებით. მერე, ცუდადგანათებული, გარიდებულის, კელიის ეფექტის შესაქმნელად მუქი ფერის მძიმე ფარდები ჩამოვკიდე ფანჯრებზე, კედლებიდან გოგოების, მომღერლების და რაბებისტების ფერადი პლაკატები ჩამოვხსენი და მათ ადგილას მკაცრსახიანი და წვერებიანი, ბევრისთვის უცხო, ჩემთვის კი ასე ნაცნობი, საყვარელი ბიძების სურათები გავაკარი, წიგნის თაროები ინდიელივით შემოვირტყი ალყად, მათ შუაში, კედელთან უბრალო ხის მაგიდა ჩავდგი და

ძველებურ ბრასაც დავახრევენი თავი, რომ, როგორც ჩემს შემოქმედებას, თავისი ჩახჩახა ყვითელი შუქით გაენათებინა ირგვლივ ჩამონოლილი ბნელი. და, ვიჯექი ჩემს ფულუროში ბუსავით. ვწერდი, დასაბეჭდად ვაგზავნიდი და არა მარტო მიბეჭდავდნენ, მაქებდნენ კიდევ და მეც ვწერდი და ვწერდი. ზოგი კარგი გამომდიოდა, ზოგი უკეთესი, ზოგიც ცუდი, და თუმცა ამას არასოდეს ვამბობდი ხმამაღლა, მაგრამ ჩემთვის, მაინც სულ ველოდებოდი რაღაც სხვას, იმ ძალიან მაგარს, რომელიც მოვიდოდა და ნაალაფარივით ფეხქვეშ გამიშლიდა ქვეყანას, გააკვირვებდა და გაახიზრებდა გულშემატკივრებს, და აფიქრებდა ობიექტურებს და შურით აავსებდა უნიჭოებს. კაფა ამბობდა: იჯექი, უსმინე, იყავი უძრავი და მაშინ სამყარო უცებ გადაიშლება შენს თვალწინ, ის ვერ მოიქცევა სხვანაირად. ჰოდა, ვიჯექი მეც და ველოდებოდი.

პირველ კრებულს რომ მოვუყარე თავი, ვითომდა ჩემდა შეუმჩნევლად წვერი მოვუშვი (თან ჟღალი მქონდა, მიდი და ნუ მოუშვებ). ადვილი იყო, გაპარსვა ისედაც არ მიყვარდა, ცამეტი წლიდან მაყრიდა

ლადო კლასონია

აი, მოღელიანი!



ხოლმე და დავდიოდი მერე ინდაურივით, დასიებული და დამუნუქებული წითელი ყელით. კუბოკრული უცნაური ფერის პერანგები და ვითომც ძველი გაქუცული ჯინსები, კეტები და მოსაცმელ-ქურთუკები მაგრად მომწონდა და ვინ მომამარაგებდა ეგეთი რამეებით უფრო მაგრა, ვიდრე ჩემს ქუჩაზე პასენანით გაშლილი ძონძების მალაზიები. მაგრამ ის მაგარი რამე მაინც არ ჩანდა...

ესე იგი, რაღაცა მაკლდა. რა? რა და წრე, ცხოვრების წესი — ბოჰემა. წრე მალევე ვიპოვე, სულ მწერლები და პოეტები, ნასულების მაგივრად ლამის ჰემინგუეის სადღეგრძელოს რომ სვამდნენ, მფარველი ანგელოზების ნაცვლები კიდევ თომას მანისას. ისეთებიც გავიცანი, ლექსიკონში მოძებნილი სიტყვებით რომ ლაპარაკობენ, მარტო თვითონ იციან და ურახუნებენ და ურახუნებენ, ყველას დასანახად ვითომ ერთი ნამით რომ არ წყდებიან წიგნებს და ეგრე გადაძლიერი ფურცლებზე თავდახრობები დადიან ქუჩაში. შეხვდები გამოელაპარაკები და ხედავ, დახურულ წიგნში საწიგნოდ თითები აქვს ჩაყოლებული, ანუ კითხულობდა, გაიგე?! და შენ, უვიცმა, ჩვეულებრივმა მოკვდავმა, მოწყვიტე ამ ჯადოსნურ სამყაროში, თავის სიმაღლებს და აქ დააბრუნე, ამ ცოდვილ, ბინძურ, ბნელ მიწაზე. ჩემი ბავშვობის ძმაკაცებთან კი (ჩემი სისულელები არასოდეს რომ არ ეჩვენებოდათ ჭკვიანურ რამეებად) სულ უფრო და უფრო ნაკლებ დროს ვატარებდი.

ცხოვრების წესის შესახებ ოხრად ვიცოდი წიგნებიდან და ფილმებიდან — თავქარიანობა, სევდა, განსხვავებულობა, მარტოობა, ქალებთან არმიყი. თუ მომეჩვენებოდა, რომ რამე შემომაკლდა, youtube აგერ მქონდა და ვუყურებდი და ვუსმენდი მწერლებს და მხატვრებს, პოეტებს და ლიტერატურის მცოდნეებს და ათას

მამაძალღებს და იქამდე ვუყურე და ვუსმინე, სანამ ლამის ხილვები არ დამეწყო და მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზორში გამოჩენა მაინცდამაინც არ მიყვარდა (და დღემდე არ მიყვარს ეგ ფუჭი მცდელობა, იმაზე ჭკვიანი და ლამაზი გამოჩნდე, ვიდრე სინამდვილეში ხარ), ჩემთვის წარმოვიდგენდი ხოლმე საკუთარ ინტერვიუს: რომ ერთ-ერთი ეგეთი გადაცემის სტუმარი ვარ ჩემი ნაწერებით ალტაცებული, ჩემს მოსასმენად მოსული ხალხით გადაჭედოდი სტუდიაში, წინ კიდევ ორი მაგარი ლიტერატურისმცოდნე-ჟურნალისტი რუსი ნაშა მოკალათებულა, თვალბეში შემომციცინებენ, კითხვებს მაყრიან: — რომ შეგეძლოთ, ნებისმიერი მწერალი გახდეთ, რომლად გადაიქცევოდით, ვისი ცხოვრებით იცხოვრებდით?

და მე ვზივარ: ჟღალი, თხლად შეკრეჭილი წვერით, ოდნავ გაცრცელი, მაგრამ ლამაზი კუბოკრული პერანგით, ბევრის მნახველი და ბევრის შემცნობი, წლების განმავლობაში გონების მღვიმეში ადამიანის უცოდინრობა, უსამართლობა, დაუნახაობის წყლის წვეთებისგან ჩამოქნილი სტალაქტიტების თუ სტალაგმიტებ-

და მე ისევე ვსვამდი და ისევე ჩავდიოდი თავქარიან, სასაცილო, დებილურ საქციელებს. ხან პარლამენტის წინ მქინა გაკრეჭილ და მოვლილ მდელოზე, ხან ლამის სამის ნახევარზე ვურეკავდი ვიღაც გოგოს მთვრალი და საათობით ველაპარაკებოდი, ხან ფეხით დავყაილობდი ბნელ, უკაცურ ქუჩებში, ხანაც მეთევზეებთან ვსვამდი მტკვრის პირას აცეტონის სუნად მხრჩოლავ არაყს, ხანაც ბარში ვეცეკვე-ბოდი მეგობრებთან და შეყვარებულებთან ერთად მოსულ უცხო გოგოებს. თან სულ სხვების დასანახად, სულ სხვებისთვის მოსაყოლად.

ეგეთიც მახსოვს — ნავედით ბარში მე, ჩემი ძმაკაცი და ჩემი ძმაკაცის საცოლედ იქმაგათთვის პატარა სპექტაკლი დავდგი: ძაან მთვრალი ვიყავი, ვიღაც გოგოს ვეცეკვე და ამ ცეკვა-ცეკვაში რაღაცნაირად ორივემ დავამოვლადემო, მიფუახლოვდებოდი ერთმანეთს, ხელს ვკრავდით, დაეშორებოდი, ისევ მიფუახლოვდებოდი, ისევ ვკრავდით და ასე. ბართან ვიდექი, როდესაც ვიღაც გაბრაზებულმა ბიჭმა ჩამიქოლა, უკან კიდევ ეს გოგო მისდევდა. თურმე ბიჭი მისი შეყვარებულია. და რომ ჩამიარა იმ გოგომ, ხელი მოვკიდე და მეთქი, თუ მისდევ — გაეკიდე, მაგრამ ნომერი მომეცი შენი-მეთქი და გოგომ ხელი გამომგლიჯა და ბარიდან გავარდა.

დავლევდი სადმე და თუ რომელიმე გოგოს უნდა გამოველო ნასაყვანად, აუცილებლად მანქანებით მოზუზუნე ქუჩის შუაგულს დავეყვებოდი, რომ ვგრე დავეინახე, ოდნავ მობარბაცე, სხვანაირი, თავქარიანი.

მოკლედ, სხვების თვალში წლობით ვქმნიდი, ვძერწავდი საკუთარ ფიტულს ექსცენტრიული, ენამახვილი, ცოტა სარკასტული, უშიშარი და ფეხზემკიდა კაცისა, მარტო იმიტომ, რომ ყველასათვის დამემალა — ის მაგარი რამე არ მოდიოდა. იქამდე, სანამ მსახიობავით, როლი ცხოვრების წესში არ გადამივიდა. სანამ არ გაცოცხლდა ფრანკენშტეინი, სანამ მართლა გულით არ შემეყვარდა დალევა.

ჰოდა, ერთიც არი და, ვარ ეგრე ბარში, ხის დახლთან ვდგავარ, ერთ ნაცნობს ველაპარაკები, ვსვამ და მომადგა ვიღაც ქერა გოგო. წითელი, მოტყევილი კაბა აცვია, ფართე მხრები, შეგდებული წელი და მაგარი გემრიელი ტრაკი აქვს. შეუკვეთა სამი ლუდი, დახლზე ტელეფონი დადო და რომ დავხედე და მინის ლაპლალა ეკრანზე აელვარებული ფერადი ნახატი დავინახე, მისკენ გადავიხარე და ვკითხე: — ესე იგი, სიბაშვილი მოგწონთ?

— კი, ძაან, — ღიმილით მიპასუხა გოგომ, — რაღაცნაირი ფერადი და ძაან... აი, თან საყვარელი და თან სევდიანი.

— აააა, — მცოდნედ ავნიე ნარბები მალლა.

ეს სიბაშვილი ჩემს ნათესავთან გავიცანი — ახალგაზრდა ტიპია, თან მართლა ნიჭიერი, მაგრამ რაღაცნაირი მაზალი. რომ გაიგო, ვწერდი, გვერდზე გამიყვანა და თავის ნახატებზე დამინყო ლაპარაკი: შენ, ვიცი, გაიგებო. ნაცრისფერ მასას გამოეყო რა. და აი, ზუსტად მანდ მანახა თავისი ეს ნახატი, რომელიც ახლა ამ წითელკაბიან გოგოს ეყენა ფონად მობილურზე და ერთი ათი წუთი მისხნიდა, რომ ნახატს სიყვარული ჰქვია და სწორედ ამიტომ არის ასეთი ფერადი, სიყვარული ხომ ფერადია და ეს გოგოც და ბიჭიც ამიტომ არიან შიშველები, სიყვარული ხომ შიშველია, ანუ თავისი პირველყოფილი, უმანკო სიშიშვლით არის ასეთი მაგარი, ამოუცნობი და სუფთა. კიდევ კარგი, სუფრა მალე გამიშალა.

ნაცნობს დავემშვიდობე და ეს ყველაფერი გოგოს მოვუყევი. — აუ, რა მაგარია, არასოდეს შემიხედია ამ მხრიდან, რას საქმიანობ? — მკითხა დანტერესებულმა გოგომ, როდესაც მოყლოა დავამთავრე და წელი მოძრაობით მოვსვი ლუდი, მერე ბარმენს ფული გაუნოდა და ჩემსკენ შემოტრიალდა.

— მწერალი ვარ! — ვუთხარი და ყურები ამეწვა. ბოლომდე გადაგვარებული ჯერ კიდევ არ ვიყავი. — ვაააა, — მიპასუხა გოგომ. და დავინყე მეც რაღაცების ბოდიალი მხატვრობაზე, რომლის აზრზეც არ ვარ და ეგრევე იმ ერთადერთს მივადექი, რაც წიგნიდან ვიცოდი — გოგენი, სომერსეტ მოემი და „მთვარე და ექვსპენიანი“ და ისიც იდგა და მისმენდა.

ეგ სულ მიკვირს ხოლმე, ნადლი და ჩუმი და მე ისევე ვსვამდი და ისევე ჩავდიოდი თავქარიან, სასაცილო, დებილურ საქციელებს. ხან პარლამენტის წინ მქინა გაკრეჭილ და მოვლილ მდელოზე, ხან ლამის სამის ნახევარზე ვურეკავდი ვიღაც გოგოს მთვრალი და საათობით ველაპარაკებოდი, ხან ფეხით დავყაილობდი ბნელ, უკაცურ ქუჩებში, ხანაც მეთევზეებთან ვსვამდი მტკვრის პირას აცეტონის სუნად მხრჩოლავ არაყს, ხანაც ბარში ვეცეკვე-ბოდი მეგობრებთან და შეყვარებულებთან ერთად მოსულ უცხო გოგოებს. თან სულ სხვების დასანახად, სულ სხვებისთვის მოსაყოლად.

ვფიქრობ, წიგნი აგრესიული გამოვიდა. მაგრამ ჩემთვის სრულიად გასაგებია მისი აგრესიულობა. ის კი არა, ცოტათი თანა- ვუგრძნობ კიდევ.

მართლაც, გამაბეზრებელია, ყოველ ჯერზე თავიდან გიხდებოდეს იმის მტკიცება, რაც თითქოს არაერთხელ გქონდა დამტკიცებული: რომ შენი ტექსტი ლექსია, პოეზიაა. მაშინ, როცა სტროფთა ოთხკუთხედების, ვთქვათ, სრულიად უნიჭო ავტორს არაფრის მტკიცება არ სჭირდება. მისი ნაწერი, შიგ პოეზიის ნასახიც რომ არ იყოს, მაინც პოეზიად მიიჩნევა, თუნდაც ცუდ პოეზიად.

პირდაპირ ვიტყვი ამ საქმესთან ჩემს დამოკიდებულებას.

ლექსი, პირველ რიგში, რიტმული აზროვნებაა — თავიდანვე, ჩასახვის მომენტიდანვე.

რეგულარულია თუ თავისუფალია, რიტმი თვალნათლივი უნდა იყოს და კიდევ, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ყურნათლივი. რადგან დეკლამაციის დროსაც ლექსად უნდა ისმოდეს.

რითმა კი, როგორც ტექსტი მოიხდენს, ან როგორც მოგვიხერხდება.

მარსელ პრუსტის პროზა იმდენად სავსეა პოეზიით, რომანების რიგით მკითხველს უჭირს კიდევ მისი წაკითხვა.

მაგრამ პოეზიის ჟანრისათვის ჯერ არავის მიუკუთვნებია...

პროზაულმა პოეზიამ ვერლიბრი დაირქვა, სტრიქონებად დანაწილდა და თამამად შეერია ვერლიბრს.

პოეზიის არათემატური, საერთო ან- თოლოგიები ორი პრინციპით დგება, უცხოეთში, ცხადია:

პირველი — თავი მოუყაროს საუკეთესოს.

მეორე — გააცოცხლოს მივინყებული პოეტების კარგი ლექსები.

დავით წერეთლიანი

ფრაგმენტები რეცენზიის მაგიერ

მაგრამ ეს, როცა ანთოლოგია სიყვარუ- ლით კეთდება.

საკუთარი ენის ცოდნა, მაღალ დონეზე ფლობა ყველა ჟანრს მოეთხოვება, პოე- ზიასაც, პროზასაც, დრამატურგიასაც.

გარდა, როგორც ჩანს, პროზაული პოეზიისა, აქ სრული ენობრივი სიმწირე სუფევს.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომე- ლიმე ავტორი კმაყოფილი სახით გვიცხა- დებდეს, რომ მისი ენობრივი სიღუფხირე განზრახვისია. ასე იმიტომ წერს, რომ... თუმცა არა, არ გვეუბნება, რატომ.

ლექსი გაცილებით უფრო მისკენილია ენასთან, გაცილებით უფრო ენობრივი ფენომენია, ვიდრე პროზა.

სიტყვას აქვს უზარმაზარი ემოციური ენერჯია, რომელსაც ლექსი, არ ვიცი, როგორ ვთქვა, კრავს თუ კალაპოტს აძლევს.

გასაგებად ალბათ ვერც ვერასოდეს ვიტყვი, მაგალითი თუ არ მოვიშველიე. ქვე- მით მოხმოხილ სტრიქონებში არ არის არავითარი პოეტური ტროპი, არც რაიმე განსაკუთრებული სათქმელი, მხოლოდ სი- ტყვის ემოციური ენერჯია.

არაბეთს გასცა ბრძანება დიდმა არაბთა მკყრობელმან: თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან.

ვერავითარი პნკარედი ამას ვერ გად- მოსცემს. თითქოს მშრალი, საქმიანი ინ- ფორმაციაა. არადა, შეიძლება ტანში და- გაჟრიალოს.

პოეზია ძირითადად ამ სპეციფიკურო- ბის გამო არსებობს. ყოველ შემთხვევაში,

დღემდე მაგის გამო არსებობდა.

„ქართული ლექსი, მეოცე საუკუნე“ ცდილობს, სიტყვის ამ ემოციური ენერჯი- ისგან განთავისუფლდეს.

ძველთაგანვე არსებობდა ლექსი პროზად, რომელიც სულ სხვა ჟანრია. მას თავისი ადგილი ჰქონდა, ლექსის ადგილს არ იკავებდა.

ფრანგულ ლიტერატურაში ამ ჟანრის მაღალი შედეგებია შექმნილი (მაღარმე, რემბო, ნანოლობრიე — ლოტრეამონი).

იოსიფ ბროდსკი მიიჩნევდა: ვერლიბ- რი ოსტატობის ნაკლებობაა, მეტი არაფერი.

ჩემი დაკვირვებით, ათიდან ალბათ რვა შემთხვევაში პოეტის ვერლიბრზე გადას- ვლა იძულებითია.

მიუხედავად ამისა, იოსიფ ბროდსკის ვერ დავეთანხმები.

არსებობს სათქმელი, და ზოგჯერ ძალიან მნიშვნელოვანიც, ვერლიბრით რომ უკეთ ითქმის.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ თავისუფალი ლექსის თავისუფლება მაინც ტრადიციულ ლექსზე დგას, მიუხედავად მათ შორის ერთგვარი ანტაგონიზმისა.

გაქრება და თავისუფალი ლექსიც გაქრება.

მაგაზე გამახსენდა. დავმდგარე ვარ და, ვითომც არაფერი,

როცა ხარ, იშვიათად გამჩნევენ და რომ მოალებ პირს და იქიდან სარეცხის ფხვნილ- ნაჭამივით ყრი ისეთ რამეებს, რაზეც თვი- თონაც გული გერევა, რომ ხატოვნებ და ინელები დილის აერობიკის წამყვანივით, ეგრევე გისმენენ და იკერებებიან, გოგოს კიდევ შემტენი, ხატოვანი სადღეგრძელო- თი ან კიდევ უფრო უარესით, სენტიმენტა- ლურობით — „შენს გვერდით სხვანაირი ვარ! შემცვალე! გადამარჩინე!“-თი ან ნამეტანი ჭკვიანური რამეებით რომ დაკ-

ერავ და თავი მაგარი დონე ჟუანი მოგეჩვენება, უნდა იცოდე — დანძრული გაქვს. ეგ იმას გავს, სუფრაზე პოეზიის აზრზე რომ არ არიან, მაგრამ თუ წამოდგე- ბი, ჭიქას აიღებ და რაღაც დებილობას მაინც ჩასვამ რითმაში: აქედან თამარ მეფე, იქიდან ილია მართალი, წინაპრების სისხ- ლით გაპოხილი მიწა და გულზე მჯილის ბაგუნო, ოდნავ გვერდზე გადაადგებენ თავებს, ვითომ ჩაფიქრებულები და დასვენ- დიანებულები ამოგხედავენ, ტაშს

დაგიკრავენ და მორჩა, იქ ხომ იმათთვის ბრძენი ხარ. მაგრამ შენ იღუპები, იმიტომ, რომ თავი პოეტი გახდა.

ჰოდა, ესენი კი ვიცი, მაგრამ ძალიან ლამაზია ფართე მხრები, შეგდებული წელი და მკვრივი უკანალი, განსაკუთრებით კი წითელ კაბაში, და გავიქაფე ამაზრზუნად. ბარმენმა გოგოს შეკვეთა რომ მოუტანა და გოგო მაინც დახლთან დარჩა, ჩემს გვერდით, ფრთხილად დავადე ნელზე ხელი და ეგრე გავაგრძელე ლაქლაქი და ცოტა ხანში, როდესაც მოდილიანის მი- ვადექი, ცოტა უფრო სიღრმისკენაც გა- ვაცურე თითები, მაგრამ ამ დროს მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი და შემოვბრუნდი. ჩემ წინ ორი ბიჭი იდგა, ორივე შავთმიანი, ერთი მაღალი და მუქი, მეორე კი ჩემ სიმა- ლე, წარბმეკრული და წვერიანი.

— რა არი? — მკითხა წვერიანმა.

— რა უნდა იყოს, რო? ვლამარაკობთ მე და ეს ლამაზი გოგონა, — ვითომ უდარდელად მივეყრდენი დახლს ზურ- გით.

— ხო, არა? — ბოლმანად შემომიბრუ- ნა კითხვა შეწვერიანმა.

— ხო, — ვცადე, რაც შემეძლო მშ- ვიდად მეპასუხა.


— ჰოდა, წამო, აბა, ერთი, გარეთ ვილა- პარაკოთ.

— წამო, — დახლს მოვშორდი და გოგ- ოს გავუღიმე.

მაღალმა კარი გამოაღო, ქუჩაში გავედით. ცივი ჰაერი ისეთი მაგარი იყო ბარის დახუთული, გაბუღული ოთახის მერე! უკან მივიხედე, გოგო ისევ დახლ- თან იდგა და სასმელს წრუპავდა. ნაბოზ- ვარკა! მეტის ღირსი ვარ! რას ამაზრზუნებ, ვისთან ამაზრზუნებ! მერე ცას ავხედე, უმთვარო იყო და ღრუბლიანი.

— ეი, მოდელიანი! — მომესმა ამ დროს უკნიდან წვერიანის შეძახილი.

და როგორც კი დავინახე, როგორ გა- მომხედა გოგომ ბარის ფანჯრიდან, მივხ- ვდი, რომ კარგა ხანია, ყველა უკან დასახ-



პოეზიის წვრილმანებზე ვმსჯელობ, მაშინ როცა...

ყოველთვის იარსებებს ქვეყანაზე ბედ- თან შეურიგებული ერთი-ორი პოეტი, მა- გრამ გვიმტკიცებენ და, ეჭვი მაქვს, არც- თუ უსაფუძვლოდ, რომ პოეზია, როგორც ჟანრი, მორჩა, აღარ არის, დამთავრდა, პოეზიის შეგრძნება დაკარგულია.

მკითხველი რომ გამოეცალა, ეს უთქმელადაც ვიცი.

იმასაც ამბობენ, რომ მკითხველის დაკარგვაში მთავარი ბრალი პროზაულ პოეზიას მიუძღვის, რაც მართებული არ მგონია.

ვფიქრობ, პროცესი პირუკუ განვი- თარდა. სწორედ ჟანრის კედომამ გამოი- წვია პროზაული პოეზიის მოზღვაება.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ახალთან ერთად დიდი და თითქოს წარუ- ვალი კლასიკური პოეზიაც ჩაიყოლა ამ პროცესმა.

„სად ვიჩივლო, რუსთაველი მკვდარია“.



ევი გზა მოვიჭერი, რომ უკვე წლებია, რაც ყოველ დღე ნაკუნ-ნაკუნ ვშლიდი საკუთარ თავს, თმთქმის ყველაფერს, რაც მიყვარ- და, რისიც მართლაც მჯეროდა, სანამ საბ- ოლოოდ არ გადაქრე და ახლა ძალიანაც რომ მდომოდა, უკან ველარ დავიხევი. ამის უფლებას საკუთარი ხე- ლით, ტყუილებით, დალევებით და მოჩვენებით სიგიჟებით აგებული ფიტ- ული არ მომიცემდა, რომ რადგანაც ქან- დაკევა გაცოცხლდა, მიწოდდა ეს თუ არა, უნდა გამეგრძელებინა როლის თამაში, მაგრამ მომეშალა ნერვები საკუთარ თავზე და გადავწყვიტე, ბოლომდე შევყ- ოლოდი.

— მოდელიანი კი არა მოდილიანი, ჯი- გარო! — მსუბუქად ვუჩქმიტე ლოყაზე წვერიანს.

ტიკვილი არ მიგრძენია, უფრო ხმამ დამიბნელა თვალები, ჩემი ცხვირიდან წა- მოსულმა ხმამ — თითქოს იატაკზე დაგდე- ბულ ყურძნის მსუქან მტევანში ჩავდგი ფეხი, შემდეგ მუცელში მომხვდა და რომ მოვიხარე, პერანგზე და შარვალზე ცხე- ლი, ნებოვანი მსხვილი წვეთები დამეცა, მერე კი მინის მსხვრევის მჭახე ხმა ჩამწე- და, თმიდან ჰატარა ბასრი ნამტვრევები ჩამომცვივდა, სანახევროდ ბნელში ჩაძირ- ული გავიშხლართე მიწაზე და ბოლო რაც დავინახე, უმთვარო ცა და ბნელ ქუჩაზე გაქცეული ორი შავი ლანდი იყო.

იმის მერე ბევრი წელი გავიდა. მე დღემ- დე ვწერ, არც წვერი გამოიპარსავს, არც კუბოკრული პერანგები გამომიცვლია, დალევითაც ისევ ვსვამ გონების დაკარგ- ვამდე და მოსაყოლ სისულელებსაც ისევ ჩავდივარ, მაგრამ ნამეტანი რომ გამოვმ- წერდებოდი ხოლმე, მარცხენა ხელს ჩამო- ვისვამ სახეზე, შუბლს ზემოთ, თამამ ჩამა- ლულ იარაზე, კარტოფილივით გაჭ- ყლებული ცხვირზე — მახსენდება მოლ- რუბლული ცა, ქუჩაში გაქცეული ორი შავი ლანდი იმ ქუჩის ჰაერით ცივი, ბოლმი- ანი შეძახილი: ეი, მოდელიანი! და ყოველთვის მშველს. ის, მაგარი რამე კი მაინც არ ჩანს!..



*
მას შემდეგ ისხამს სამოთხის ვაშლი,
ცვივა და
ლპება.

*
ეს ხელისგული
პატარაა, ოღროჩოღროა.

რად დარჩებოდი.

*
ღიახ — ცხოვრება სიზმარია.
ჰო — ცუდად მძინავს.

*
ხიდების დაწვა სულ უფრო მეძნელება —
მკლავი აღარ მომდევს... —

როცა გაჭირდება, გადმოვცურო.

*
კარგად ვარ, ჩემო მოკეთენო,
ცუდად ვარ, მტრებო —

თქვენიც გეყოფათ,
ნუ იჯავრებთ ჩემზე ნურავინ.

*
იმდენი გირტყეს...
იქნებ განდევნეს კიდევ ეშმაკი —

სიყვარული.

*
შევხვდი, შევხედე, შევეხე —
მივახრჩე ბოლო ზღაპარი.

*
ველარ ნერ —

ანუ აღარ გიღირს,
ნაყრუებული სასმენელი მოიფშენიტო და
ისევ ალაღად მიუმარჯვო წყლულების ნივილს.

ლექსის მეტი რა გაგდის და რა იფანტება.

*
— ბიჭი მომიკვდა, ბიჭი! —
თოფს დააჭექებს იმქვეყნად მამა.

*
ყოველდღე ღალატია:
ყოველდღე გადადიან
სიკვდილის მხარეზე
სიცოცხლის დღეები.

გუგანი

არ გინდა, გაფიცებ! —
რომც შეძლო მიგნება —
მესამე ნაპირზეც
არავინ იქნება.

ჩაბაიონი

სხვას კიდევ მოვერეოდი,
გადავუნევი მკლავს —
წარმავალობა მიბრიყვებს.
წარმავალობა მკლავს.

დაკარგული პანსი

როგორმე გადარჩებოდი —
ფუჭი ყოფილა იგავი.
რა გრჯიდა — რადა ჩნდებოდი? —
გადარჩენილი იყავი.

ნახევარზაპრიკატი

ხორცის საკეპ მანქანაში
გატარებულივით ვარ.

მოკლედ, ისლა დაგრჩენიათ —
შემბრანოთ და მიმირთვათ.

ჯიბრაბი

არ თაკილობენ ჭიანი,
საფლავის ხარბი ჭიანი —
გინდა, აჭამე ჩიანი,
გინდ — დევის მხარბეჭიანი.

აჰოზა

ახლა ჩვენი წყდება ბედი,
ერთმანეთს რომ შევაბერდით
ღრენითა და ქიციანით.

და, ვინ იცის, წყრება ღმერთი,
ანდა კიდევ უფრო მეტი —
გულიანად იციანის!

ქვეშეალი

ცაზე მიმოყრილია
ბინძური ბამბეული —
ღრუბლების ფლოტილია,
ქარისგან დარბეული.

ცისპირული

წვიმა წვიმს და რა წვიმა წვიმს!
ზეცას ელვის ეშვი ლენავს!
და ძირს გვიყრის ნაწილ-ნაწილ:
მეექვსე ცას...
მეშვიდე ცას...

თაშნება

როცა უნდა — ზღვაში ჩადის,
როცა უნდა — ცაში ადის...
კაცი ვარ და — მე რა ვიცი
მზის ხოში და ხვაშიადი.

ფლიგოი

გიყურებ — თვალებით გაბამ,
და თვალი დაგადგი რაკილა —
გადაწყვეტილია, აბა —
ამალამ სიზმარში ავიყვან.

პიროვნების გაორება

აღარ ვიცი, რა და როგორ გიყო,
ერთო ქალო — შხამიანო ნიყვო.
რატომ გინდა, ამნაირი იყო,
როცა გინდა, იმნაირი იყო?

ბაჩარება

ქალი —
ნეტავი —
მეჩეჩი თუ ნავსაყუდელი?

ურნუნოება

არა მგონია,
იქითაც იყო
ჯოჯოხეთი.
*
სიკვდილიც კი არ მოგისჯია.

მხოლოდ იმ კუნძის დაპოვა ბრძანე,
თავი რომ მელო.

*
რა მყუდროა
მარტოობის ნიჟარა —
ვინმემ თუ არ დააბიჯა შემთხვევით.

*
ორბიტას მიჰყვება მთვარე.
ღმერთმა იცის, არსებობს თუ არა.
შენს თავს მიხედე.

*
რამდენ რამეს ვაპირებდი ხვალ.
როგორ არ გათენდა.

ვანო ჩხიკვაძე

ცუდად ვეთამაშებით
საქართველოს ბედს,
შეკითხვაზე:
— რას შვრები?
— მეტი რა ვქნა,
ვყეფ!

რომ გვეგონა მოგვცილდნენ,
დაგვიბრუნდნენ ნამატიო.
ვიღაც მკერდს ჩაიმჯიღავს —
იმათიც და ამათიც.

სუყველანი ნუმპეში —
სუფთად ვილა გადავრჩით.
ღორებს ვუყრით მარგალიტს
ჩვენს ავგიას თავლაში.

დღემდე ვერ შევეგუე
მუცელმერთა მგლებს.
შეკითხვაზე:
— რას შვრები?
— მეტი რა ვქნა,
ვყეფ!

გახსოვს, ის ღამე, ფიფქის და
სანთლის ციმციმი სარკმელთან,
ერთმანეთს შევეფარენით —
დაღამდა, აღარ გათენდა.

ყავის ჭიქა და ლამბაქი,
ცეცხლზე ჩაიდნის შიშინი,
ქარის მოტანილ, ჭრელ-ჭრულა
ფოთოლს კარტივით მიშლიდი.

გათენებამდე გვესმოდა
ფიფქების უხმო სიცილი —
ხელისგულეზე დამდნარი
ჩვენი პირველი ფიცივით.

ჩათავდა ბოლო ფურცელიც,
ამ სტრიქონებზეც ითოვებს.
ისე უეცრად დამკარგავ,
თოვამი როგორც მიპოვე.

დამხარჯე, დამხარჯვინე,
წლებმა ჩემს თავზეც იავდრეს,
ზეიმად მომეჩვენება
ჩემი სიკვდილის წინადღე.

ეს ღამეც ჩვენი ღამეა,
ისე წყნარად და თბილად თოვს,
შენს მკლავზე სული დავლიო,
მეტი რა უნდა ვინატრო.

სიცოცხლეში კეთილი,
ახლა ცივი, თავნება,
ვინც მხარზე გადებული
მაღე გაემგზავრება,

უკვე მეხუთე დღეა,
ხმას არ იღებს ჯიუტად,
აღარაფრად არ აგდებს
მოყვარეს და იუდას.

გარეშემო გუბდება
გვირგვინების მორევი,
ყველა თავს დასტრიალებს
ვით ერთგული მსახური.
ვიღაც უკანასკნელად
შუბლზე ეამბორება,
ვიდრე წამოემხოზა
საკაცის თავსახური.

მიდის, სადაც მიელის
თიხა მინის ნათხარი,
პირველ თოვლში გაჭრილი
ბოლო თავშესაფარი.

ჩქარობს, მიუხარია,
ზამთრის ქარის გრიალში,
ჩაალაგა ახალი
ფიცრის საკვოიაჟი.

უკვე აღარ ანუხებს
წნევი და ნაწილი,
არც მზერას მიაღვენებს
სულს, კენჭით ასროლილს.

უკვე მეხუთე დღეა,
თავდახრილი დგას ცოლი,

როგორც ბოლო ვაგონის ერთადერთი გამყოლი.

თოვდა. თოვდა. ლიხს აქეთ და, ლიხს იქითაც თოვდა, თოვდა. თოვდა წრომთან, თოვდა შოვთან, შროშასთან ხომ თოვდა, თოვდა.

მოდოდა სპა დავითის, ქარბუქების წყვეტდა გორგალს. შავი ცხენი, დარახტული, ყინვას ხერეჰდა, თოვლსა ძოვდა.

ყველა ტაძრის დედო-ზარი მოლოდინით გაირინდა. ღმერთო, ჩვენი ბედ-იღბალის რა ბრწყინვალე დარი იდგა —

თოვდა. თოვდა. მახარობლად მალემსრბოლი მიმოქროდა. მაშრიყიდან მალრიბამდე გული საგულეში გქონდა...

მერამდენე საუკუნე ელოდება უფლის ნებას — ლიხი — საქართველოს მაჯა — დავითის ხმლის გაბრწყინებას.

თოვდა. თოვდა.

ლიანი

გაიხსენე და დახატე, რაც არაერთხელ ითქვა: ჭირნახულს ანიავებდა, ხვავში მზესავით იდგა.

ჰგავდა ოჯახის ანგელოზს, სულში თოვდა თუ წვიმდა. ჩვილთან გულისპირშეხსნილი, ღვთისმშობელივით წმინდა.

წავიდა, აღარ დაბრუნდა, მეც შენს სადარდელს მოვთქვამ, ვინც საქართველოს ბედ-იღბალს ძილგატეხილი ქსოვდა,

დახატე-მეთქი, ვიყვირებ, ის, რაც ოდესღაც იყავ, ვიდრე არ აგფარებია შავი ღორღი და თიხა...

აბა, ამისი რა გითხრა, ის საქართველო მიყვარს.

ჭრელი ფოთლების შვენივლიანობა გარეთ დღეების მოწყენილობას.

შიგნით შეთრთოლდნენ ბაგენი ლოცვით, მუხლისთავებით ფილაქანს კოცნი.

თანხმობის სიტყვოც, მწარე უარიც თან წაუღია შორეულ ამბორს. კვლავ ძველებურად გიყვარს თუ არა, რომ არ თქვა კიდევ, თვალები ამბობს.

წმინდა ცრემლი და გული ნატყენი, დგახარ ტაძარში ღამენათევი. გარეთ უმანკო წვეთი ნათელის ფოთლებში ბრწყინავს ერთი ფანტელი.

დაიწყო მორიგი როტაცია — ვირთხები ტოვებენ გემბანს. რა ვუყოთ, ღალატი მოდაშია, ძნელია ერთგული გერქვას.

ბებერი სამშობლო კომაშია, სწული ძლივს ფეთქავს, წვალბოს. ვინ ჰკითხავს, სწურია? ხომ არ შია? ვინ გახდის მათხოვრის ჯვალს!

ბებერი სამადლო ძვლის ლოკვაშია, ეშმას წყალობანი ნებავეთ, დაიწყო მორიგი როტაცია, ვირთხები ტოვებენ გემბანს.

მიტხარი, რა მთვარის ბრალია, ასე რომ კაშკაშებს, ბადრობს, მადლობა ჩემს ყოფილ მეგობრებს ჩემს მტრებსაც, ცხადია, ვმადლობ.

შენ ერთი არ დაიკარგები ღვთიური წყალობის მადლო. და მაინც მადლობა მეგობრებს, ჩემს მტრებსაც, ცხადია, ვმადლობ.

მარტინი ლეკი

მომეჩვენა მიჯნის აშიაზე, თითქოს, როგორც ერთ დროს, თეთრი კომპის ყვავილი თოვს.

მოგონების ნაცნობ სურნელებით ვთვრები, ნუთუ იმ გაზაფხულს აღარ ვენატრები.

ასე მამყოფე და კიდევაც რომ მკითხო, აბა, როგორ გითხრა გული რამ გამითბო —

არაფერი ხდება — კომპის ყვავილი თოვს.

როგორ დავიკარგეთ, ჩემო მეგობარო, სურათებით დამშვენებული ჩვენი ლექსებით გაზეთის ფურცლებზედა თუ ვხვდებით ერთმანეთს.

გადაუვლია ბიჭობის ბურანს, სხვა ვინ გაიგებს, ყურში რატომ ეჩურჩულება სურათი სურათს.

როგორ მიხვდება ჯიხურის გამყიდველი, რომ თაროზე გაზეთის ფურცლებს ქარი კი არა, ამრიალებს ჩვენი სიცილი.

რა დრო გასულა, ჩემო მეგობარო, მხოლოდ ჩვენ ვიცით, უღმობელი ასაკის „სიბრძნით“ ეს სურათები წლებმა როგორ დაასვირინგეს.

აჰა, ამასაც მოვესწარით, მართონელმა დოლის ცხენებმა გზადაგზა ბევრი ახლობელი ჩამოვიტოვეთ — რამდენი ვინმეს მონატრებით ავად ვართ, ავად, და „ნატყვისაგან“ მაშინ მოვრჩებით, უდროობაში როცა გადავალთ.

როცა არავინ აღარ გვკითხავს: — ხომ არ გინახავთ, ნეტავ აქ თუა! (წყეულმა რითმამ თავი მაინც შემომატყუა).

თითქოს ჩავლილი ვაგონიდან მხოლოდ წამით მოგკარი თვალი — ალბათ რაიმეს შესახებ ვილაღე შუაზე გადახვევს გაზეთს და ერთმანეთს კვლავ დაგვაშორებს.

დაგვაშორებს და უნდა ველოდოთ, ხელახლა როდის შეგვახვედრებს უფალი რედაქტორი...

ნახვამდის, ჩემო მეგობარო — გვინდა თუ არა, სისხლის მჭეროლავი გაზაფხული მაინც ძალაობს, ნაზამთრალ მინდვრებს ყვავილებით გადაუარა, დასიცხულ ტოტებს უნიავებს ქარის მარაოს.

ნახვამდის-მეთქი! — როგორც გულში სტრიქონს ვინახავთ, ალუბლის ფიქრი ტოტზე კვირტად გამოისახა.

იქნებ — მშვიდობით? — ხვალ რა ხდება, აბა, ვინ იცის, როდის გვიყვლებს მართონელ ცხენებს ფინიში.

ვიდრე შინიდან გახვალ, ჩიტებს საკენკი დაუყარე და ყვავილებს წყალი გამოუცვალე.

იქნებ ქალაღის ნაგლეჯზე, შვილებისათვის, ორსიტყვიანი ანდერძიც დატოვო — „გიყვარდეთ ერთმანეთი!..“

მტრების შური რას დაგაკლებდა — ხვალ იქნება თუ ასი წლის შემდეგ შინაურების სიძულვილი მოგიღებს ბოლოს...

ვინ იცის რა ხდება — ვიდრე შინიდან გახვალ-მეთქი, ჩიტებს საკენკი დაუყარე და ყვავილებს წყალი გამოუცვალე...

იქნებ ფურცელზე... ორი სიტყვა... შვილებისათვის...

მცირა შაგონება

ძალღს არასოდეს უღალატია პატრონისათვის, პატრონს — პირიქით.

სამშობლოც არავის ღალატობს, სამაგიეროდ სამშობლოს ღალატობენ...

გაქრა ცხოვრება ვით ერთი წამი მე კი კვლავ მთავარ სანატრელს ვნატრობ — თუ არის სადმე ნეტავ იმ ქვეყანას, ძალივით ერთგული შვილების პატრონს...

ცოლ-ქმარი

შებრდნენ, გაუტკბათ ერთმანეთი, როგორც ზამთრისპირის ბუხარი. ჩამოსდით ფოთოლი — უქარო ამინდში ჭადრები მწუხარე.

ვნების ხეს ტოტები შეახმა, ერთმანეთს ეჩვევიან ხელახლა.

მუგუზალივითდა ბჟუტავს ღველფში შენახული სიყვარული.

შორს ორი ჭადარი იძარცვება რძისფერი ნისლებით მიწაცრული.

თედორა

ახალი ცხირეთი აბოდებთ, თედორე, გარეშე მტერსა და შინაურ მედროვეს.

მათ ცოდვილ ხელებში სანთლებიც ქრებიან — ვისა მსახურებენ, ვის მოუძღვებიან.

ცოდვაში ნუ გამრევ, ჯოჯოხეთს ნუ მიმცემ — იქ, სადაც ეგ შენი ერთგული გული ცემს,

ღალატის სუნი მცემს! ღალატის სუნი მცემს!



შემდეგ. ნავთის მძაფრი სუნის გასხენება კლუბსა და დერეფანში დაახლოებით მაინც აზუსტებს ქრონოლოგიას. 90-იანი წლები იყო, საუკუნის ფინიშამდე კიდევ რჩებოდა დრო.

ის აგრესიული, ეგრეთ წოდებული ლექტორები, ალბათ ვერასოდეს გაიგებენ, რას ნიშნავს ეს ოქსიმორონი — ნაღვლიანი ოპტიმიზმი, რითაც მოაზროვნე ადამიანები საზრდოობენ. გაგებით კი გაიგებენ, მაგრამ მათთვის მიუღებელი იქნება. ზედმეტად პოლიტიზებული ადამიანები ანომალიის ზღვარზე მოძრაობენ და ხშირად არღვევენ ნორმის ფარგლებს. თითქმის მეთოთხედი საუკუნეა, ასეთ ვითარებას ეწინააღმდეგება ჩვენი ხალხი და ქვეყანა! ასე ვეგუებით აზრს, რომ არაფერი გამოგვდის და არც შეგვიძლია. არავინ ფიქრობს, რომ ამ ნიჰილიზმის ავტორი და სულისჩამდგმელი ჩვენ ვართ და სხვებს ვადანაშაულებთ.

ზოგჯერ ისეთი რამ გაკრთება გონებასა და სულში, რომ ღირს ჩანერა. მოვლენებიც კი, ჩვენ რომ გვგებება, შეიძლება ჩაინიშნოს. დრო რომ გადის, სხვა თვალთ უყურებ დღიურს და გრძნობ, როგორ შეინახე შეგრძნებები, ფიქრები, ათასი დეტალი, რომელიც იმ დროს ახასიათებს უკეთ, ვიდრე ინდიფერენტული ინერციის მინდობილი დინება არსაით.

„რომელსაც ენატრება დიდება ჭეშმარიტი და საუკუნო, იგი არ ზრუნავს ჟამიერი დიდებისათვის; მაგრამ რომელიც ეძიებს, ანუ გულით არ შეურაცხყოფს წარმავალ დიდებას, სჩანს მას ნაკლებად უყვარს ზეციური დიდება.“

მას გული მარადის დამშვიდებული აქვს, რომელიც არ აქცევს ყურადღებას არც თავის ქებას და არც ძაგებას... კაცთა ქებით შენ წმიდა ვერ გახდები და ვერც მათი ძაგებით შეიქმნები ცუდი.

რაც ხარ, ის ხარ და ვერც კაცთა სიტყვით გახდები იმაზე უკეთესი, რაც ხარ წინაშე ღვთისა.“

თომა კემპელი. „მიბაძვა ქრისტესი“. გვ. 130.

ბედნიერებაა, როცა წვდები, უახლოვდები მარად ცვალებად და შორიახლოს მყოფ სიღრმეს, უზრალოდ უზიარებ მეგობრებს და შენი სისავსე პოულობს ახალ სივრცეს, სადაც ერთმანეთი უკვე საყრდენად გეგულებათ.

...ის ახლა ჩემში ისე ანათებს, რომ ჯერ არ უნდა დამშვიდობება, როცა თვალს ვხუჭავ, ვშიშობ არ ჩაქრეს, ის კი სინათლით უფრო იესება...

როცა პოეზია ტოვებს ადამიანებს — მხოლოდ ლექსებს არ ვგულისხმობ, რადგან ლექსი ყოველთვის არ უდრის პოეზიას — გავიფიქრებ, პოეზია ხომ ჩვენს არსებობაში მოიპოვება, როგორც უძვირფასესი მადანი, ეს იმას ნიშნავს, რომ მკითხველს სულიერად გაუჭირდა და დაკნინდა, ნირი იცვალა და დათმო ის, რასაც „ეყუდნოდა!“ უფრო სწორად რომ ვთქვათ, თანდათან, ნელ-ნელა შეაჩვიეს და დაუმალეს არსობის არსი, დაათმობინეს და ახლა უაზროდ დაყანტალობს წინ და უკან და უმუშევარს, ლატაკი მოცალეობით გაბეზრებულს, დაგლახავებულს, მშვიდი და უაზრო თავისუფალი დრო რომ უპირებს გასრესვას, დროდადრო თუ წამოაგონდება ადრინდელი სკოლის პროგრამიდან „ვაჰ, სოფელი“ ან „ვაჰ, დრონი, დრონი“ და ესეც მაშინ, თუ სადმე მოახერხა და გადაკრა თავისუფლების ორიოდ ყლუპი.

ვგრძნობ, როდის მჩუქნის ნათელს სიცოცხლე და როდის შემწვევს უნარი, ბოძებული გავცე — სრულიად უნებლით ვუნილადო თანამოსაუბრეს თუ თითქმის უცნობ ადამიანს. ასეთი ურთიერთობა ბუნებრივად გაივლის თავის გაზს და გულიდან გამოდნული სხივი ერთის ტემბრსა და წარმოთქმული სიტყვების ცვალებად ტონალობას, გაფიქრებულ კონტექსტს, ამთლიანებს განწყობას, თანდათან რომ

გვეუფლება და, ამავე დროს, თავს აფარებს ჩვენს უხილავ, ნაგულისხმევ სამყოფელს, სადაც ღმერთი გვეგულება...

ეს ნათურები იმ ლამიდან იყურებიან, სადაც ჩვენ არავინ გვიცნობს, ამიტომ იბუდებს იქ უცნაური მიზიდულობა, ასე რომ გვეწვევს თავისკენ და სამომავლოდ შინაურულ ყოფას გვთავაზობს, სადაც ხაზგასმული თავაზიანობა მკაფიოდ გავგახსენებს, რომ არა მარტო ნუთისოფლის, არამედ ასევე წარმოსახული გარემოს სტუმრებიც ვართ.

მაინც საიდან ჩნდება ფარული მიზიდულობის შეგრძნება, ნუთუ სიუცხოვიდან, რადგან ტრადიციულად უცხოს უნდა შევთავაზოთ ყოველივე საუკეთესო, რაც კი გავაჩნია და ასეთი უკონტროლო მასპინძლობა ითვლება ერთადერთ და უცვლელ ჭეშმარიტებად მანამ, ვიდრე გაშინაურებული სტუმარი თვალსა და ხელს შუა გაუფასურდება.

საუცხოო სტუმრისთვის შესანიშნავი ვერპული მეცხრამეტე საუკუნეში ორბელიანის ქალი აღმოჩნდა, უმალეს გვამთა „ბრძანული“ გადაწყვეტილებით.

ბედნიერია ის, ვინც სიყვარული შესიულსისხლხორცა!

**ფრაგმენტი
მავანის ალსარაპიდან**

მიმატოვა და წავიდა, დაიკარგა. დიდხანს ვიტანჯებოდი. გავდიოდი ეზოში და საათობით ბაღს ვუვლიდი, ბალახს ვგლეჯდი, სარეველასგან ვათავისუფლებდი. ვფიქრობდი, რომ ასეთი ან სხვაგვარი ფიზიო-თერაპია მიშველიდა და დამავინყდებოდა ის, რაც შეუბრალებლად მტანჯავდა. მეჩვენებოდა, რომ ყველამ იცოდა, რაც მჭირდა და თავდახრილი დავდიოდი, თვალს ვარიდებდი ადამიანებს და ვგრძნობდი, ჩემში როგორ იბუჭებოდა, ქრებოდა სიცოცხლის სხივი. არ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა ჩემი მარტვილობა, მაგრამ ის კი მკაფიოდ დამამახსოვრდა, როგორ ვიგრძენი თავი სრულიად თავისუფლად იმ ტყვეობისგან, რასაც აკვირებოდა უფრო ჰქვია, ვიდრე იმედგაცრუებული სიყვარული. ეს თანდათანობით, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გაცხადდა ჩემთვის. შევიგრძენი, რომ გაურკვეველ ადგილას, ყველგან და არსად, სუფევდა ძალა, რომელიც ყველას და ყველაფერს ადემატება და როგორმე მისთვის უნდა მიმეწვდინა გულისხმა. დროდადრო ისევე მანუხებდა ეს რესენტიმენტი, მძლავრად შემომიტევდა ხოლმე, მაგრამ შევნიშნე, როგორც კი შევძლებდი სულის იმ ძალისკენ გადართვას, რომლის ადგილ-სამყოფელი უცნობია მარადეჟამს, მყისვე სიმშვიდე ისადგურებდა ჩემში და გაოცებული ვუსმენდი სამყაროს, ჩემში რომ შეუმჩნეველად შემოდოდა და თავისუფლების სიანკარით მავსებდა. მას მერე ვიქეცი სხვა ადამიანად, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩემი მნუხარების სათავე დაშრა, ამოიხაპა, დაიწვინა, ერთიანად გახუნდა და იქცა უსიცოცხლო ფიტულად. ახლა რომ ვიხსენებ იმ დღეებსა და ღამეებს, ვრწმუნდები, მაშინ ნამდვილად ავად ვიყავი და ვინც მიხსნა, იგი მას მერე ჩემში ცოცხლობს. ვალიარებ, რომ დიდხანს აკვირებების მონა ვიყავი და არა სიყვარულის, რადგან სიყვარულისთვის უცხოა მონობა.

სტუმარი

ხშირად ვგრძნობ, თითქმის ყველგან ზედმეტი ვარ. ეს არ არის დღევანდელი სინამდვილე. რაც თავი მახსოვს, დროდადრო მეორდება და ჩამაფიქრებს იმ სათავეზე, საიდანაც ეს ტალღა მოაწყდა ჩემს ყოფას და გამოუცხოვა არსებული ადგილსამყოფელი და დამარწმუნა, რომ ნებისმიერი გარემო ჩემთვის სასტუმროსავით არის და მკვიდრად თავს ვერსად ვგრძნობ. ალბათ ამ განწყობამ მათქმევინა ოდესღაც — ჩემი სამშობლო შენ ხარ, უფალო!

ვაჟა ხორნაული

ბუღას შინაარსი

ახალ ნაპირთან შეგავკინადა კენწეროებზე თოვლი ატირდა სამოთხის მზე და ფეთქვა იათა გეხმინება ღმერთის კალითდან.

ბუღეს შეხარის სივრცის მშვენება ამ გაზაფხულზეც ჩვენთან მოფრინდა და სიმალეებს თავზე ევლებს ხმა — გამოსული ღრუბლის ქოხიდან.

ნეტავ რა გქონდა სადავო სიკვილო კაი ყმასთან არც შეკრთა არც მოგერიდა ღმირით დაგხვდა კართან მიგილო სიყვარულითა (თავი ეგონა ძმასთანა) არასდროს დამდურებულმა მინასთანა და ცასთანა ყვავილის მალმერთებელმა შესადარელმა ზღვასთანა.

ღრუბელმა მგზავრის ქვემოთ და მგზავრმა მზის ქვემოთ გაიარა.

ნაჯახმა ვერ გაიგო წალდი — მისი შვილი რატომაა ცხვირჩამოშვებული.

მაგრამ ზოგჯერ ვერსაით მიდინარ როგორც ჭიშკარი ბალახის ფესვებით მინას მიჯაჭვული.

ზოგი დარდი სიზმარშია ც გაგიჩენს ჭალარას.

უბედნიერესი კორექტორი — ვენახში სასახლეგვით შესული კაცი.

ხმაური თანდათან გაილია და დაღლილი მგზავრით ჩაეძინა სიჩუმის კალთაში.

დარდის ნასახლარზე იმისთანა ყვავილი ამოვიდა რომ ღმერთის სიხარული დაარქვეს ვარსკვლავებმა.

კედელთა შეერთების ადგილი უფრო თბილია და ნათელი და ბზარი იშვიათად უჩნდება.

ეზოში წყაროს რომ შემოუძღვები — მარტო აღარა ხარ.

ღმერთს ზურგი შეაქცია და ღმერთს გაელიმა და მტვერი მოაშორა ბეჭიდან.

მენყვრსაც მწვანე სამოსელი ჩააცვა გაზაფხულმა.

შეყვარებულები ერთმანეთის ჩრდილს ვერა ხედავენ როგორც აყვავებული ხეები.

ზოგიერთი მდინარე ისეთი სუფთაა რომ თევზები ერთმანეთის ცრემლებსა ხედავენ.

თოვლი ეფლობოდა პატარა ბიჭი და მაინც არიდებდა ფეხს ნაკვალევს დედისას.

ხან ქარმა წაიღო გვერდულად ბუმბულარული შემკრთალი ხან ნისლმა დაუმალა ცა მაგრამ მაინც მიფრინდა ღმერთის სითბორაფენილ ბუდეში.

და არც გაბზარული ლოდა ზედმეტი — უბინაო მწერი შესახლდება და იქიდან შეეხმინება ცასა და დედამინას.

კოდალას შემხედვარეს გეგონება რომ ბოშამ შეუკერა სამოსელი...

სიკვილი შენს სახელს არ გაიმეორებს — ერთხელ დაგიძახებს და გაჰყვები ყვავილივით გამსუბუქებული.

როდესაც ავტობუსში პირველად დამითმეს ადგილი არ გამხარებია — თითქოს ერთი საფეხურით დავემვი მწვერვალიდან.

ქალაქის თავზე ციმციმებენ ხოლო სოფლის თავზე ბრწყინავენ ვარსკვლავები.

მატარებელმა ჩაიქროლა და უფრო ჩასჭიდეს ყვავილებმა ერთმანეთს ფესვები.



მეშურები მწერლობის ერთ-ერთი უძველესი ჟანრი. ის ანტიკურ სამყაროში პოეზიას დასაბამს, თუმცა, ჟანრის „სინონიმის“ თვალსაზრისით, მის აღმოცენებას აღორძინების ხანას უკავშირებენ. ალბათ იშვიათია ჟანრი, მეშურებზე ნაკლები ფერისცვალება რომ განიცადოს. მტკიცეა მეშურებისადმი ცხოველი ინტერესი, რაც დღესდღეობითაც არ განელებულა.

არის მეშურებში რაღაც — ანდამატივით მიმზიდველი — სრულიად განსხვავებულ, ნაირგვარ ინტერესთა მქონე მკითხველისათვის. ჩანს, ეს თვითმხილველის, წარსულის ამბების უშუალო თანამონაწილის დაკვირვებელი თვალია.

ქართული მეშურული ლიტერატურის სიმდიდრით მაინცდამაინც ვერ დავიკვივებით (თუმცა დიდი მწერლების მიერ შექმნილი მოგონებები ხშირად სიტყვაკაზმული ლიტერატურის უსაჩინოეს ძეგლებს უტოლდება).

XX საუკუნეში, რუსული ბოლშევიზმის სამოცდაათწლიანი ანექსიამ, ერთობ შეზღუდა მეშურების არეალი. გამძვინვარებული ცენზურა დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ავტორებს; სიმართლის წერა, ფაქტობრივი შეუძლებელი იყო, ნახევარსიმართლე თუ „კომუნისტურად“ შეღამაზებული მოგონებები კი ბევრ გაუგებრობას ბადებდა. ამიტომაც, დღესაც გვმართებს ტექსტის სკრუპულოზური განხილვა და, თუ საჭიროა, სათანადო კომენტირება.

მხოლოდ 37 წელს რესპრესირებული რეაბილიტაციისა და, განსაკუთრებით, ეგრეთ წოდებული „დათბობის პერიოდის“ შემდეგ მიეცა ფართო გასაქანი მეშურულ ლიტერატურას (რასაკვირველია, დარკვეული კუბიურებით), აგრეთვე, აქამდე მიჩქმალულ ეპისტოლურ ჟანრს.

სიფრთხილე, სიზუსტე, პიროვნული ტაქტი გახლავთ საინტერესო ავტორის წარმატებისა იმ შემთხვევაში, თუ ის უახლოეს ადამიანზე წერს. ამ მხრივ საინტერესოა სერგო კლდიაშვილის მოგონებები დიდ დავითზე (თავად შესანიშნავი პროზაიკოსისა — განსაკუთრებით, ქეთევან ჯავახიშვილის (პროფესიით ქიმიკოსის) წიგნი „მიხილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, სანდრო ახმეტელისა და შალვა ნუცუბიძის მეშურული მეშურებები და მრავალი სხვა. სწორედ ამგვარ ავტორთა შორისაა საგულეველი უტყუარი სამწერლო ნიჭით დაჯილდოებული ნინო მაყაშვილი-ტაბიძე — ტიცციანის, ზოგადად, მისი მეგობრების და, კერძოდ, „ცისფერყანნელთა“ პირუთენელი მემკვიდრე; თანამოსაგრე და თანამონაწილე მათი ორდენისა. უნდა ითქვას, რომ მისი მოგონებები ტოლს არ უდებს ყოფილი „ცისფერყანნელების“ მეშურულ თხზულებებს.

37 წლის მსხვერპლი „ცისფერყანნელებისადმი“ მიძღვნილ მოგონებებში (სერგო კლდიაშვილი, შალვა აფხაიძე, გოგლა ლეონიძე, კოლაუ ნადირაძე, გერონტი ქიქოძე, ბორის პასტერნაკი, ილია ერენბურგი და სხვები), დიდი სინანულია და გულისტკივილის გარდა, ცნობიერად თუ არაცნობიერად, შეინიშნება დანაშაულის გრძობაც (თავად ხომ გადაარჩინე!). ისიც უნდა ითქვას, რომ მათი მეშურების გამოქვეყნების დროს ბევრი რამ კვლავ ტაბუდადებული იყო. ავტორები იძულებულნი გახდნენ, მიემართათ კონიუქტურისათვის: 37 წლის ზვარაკები უფრო „საბჭოურად“ წარმოესახათ, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ. ეს მხოლოდ ცენზურის შიშით და, გარკვეულწილად, საკუთარი თავის დაცვისათვის კი არ ხდებოდა, არამედ ამ პოეტთა შემოქმედების პოპულარიზაციისა და მათი თხზულებების შეუფერხებელი გამოცემის მიზნით. ამ მხრივ გამონაკლისია ირაკლი აბაშიძის სიცოცხლის მიმწუხრს დანერგილი „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“ (1992 წელი, „მნათობი“, №1), რომლის გამოქვეყნებასაც ავტორი ვერ მოესწრო.

სიმონ ჩიქოვანის გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ დაისტამბა მის არქივში დაცულ მოგონებათა ფრაგმენტი, რომელიც მწერალთა კავშირის ავტორი კრებაზე პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის სულისშემძვრელი ეპიზოდის უტყუარი, ირაკლი აბაშიძის შემოსვენებულ თხზულებასთან ერთად, დღემდე ყველაზე სანდო წყაროა...

აღსანიშნავია მცხოვანი გრიგოლ რობაქიძის უცხოეთში დანერგილი მეშურებიც, პაოლოსა და ტიცციანს რომ ეხება.

ლირსაცნობია ის გარემოება, რომ ნინო მაყაშვილი „ცისფერი ორდენის“ წევრების ღირსეულ მეუღლეთა შორის ერთადერთი მემუარისტია. მხოლოდ XXI საუკუნეში გამოქვეყნდა თამარ იაშვილის მოგონებათა ფრაგმენტები, უფრო გოდებას რომ წააგავს მეუღლის ტრაგიკული აღსასრულის გამო და მიზნად ტაბუდადებული თემის გამჟღავნებას ისახავს.

ტიციანის ბედ-ილბალი დიდხანს იყო გაურკვეველი. ნინო იმედით ცოცხლობდა, ძვირფასი მეუღლე გადასახლებაში ეგულეობდა. ამო მოლოდინით დატანჯული სტრიკურად ებრძოდა გაუსაძლის დარდს. მაყაშვილთან დაჭაჭავაძეთა ბრწყინვალე გვარის შთამომავალი კვლავ კახური ქედუხრელობითა და გენეტიკური შეუპოვრობით უძღვებოდა ოჯახს, ერთადერთი ქალიშვილის ნიტას მომავალზე ზრუნავდა. მისი მოგონებები ცხელ კვალზე არ დანერვილა, ამის არც ღონე ჰქონდა და არც სურვილი, თანაც იმ დროს ხომ ქალაქსაც ვერ ენდობოდა. ფაქტობრივი ცდომილებანი ან ანაქრონიზმებიც ალბათ ამით არის განპირობებული.



ლალი ავალიანი

ტიციანი და ნინო

მრავალი წლის ინტერვალი იყო საჭირო, რათა ნინო მაყაშვილი, ტიცციანის ლიტერატურული მემკვიდრეობის ფანატიკურ მოჭირნახულესა და მცველს, ქმრის თხზულებათა ხელახალი გამოცემებით ფრთაშესხმულს, გადაეწყვიტა მოგონებების დანერვა. ისევე, როგორც წმინდა ნინოს სასწავლებელდამთავრებულ მრავალ ქალბატონს, ნინო მაყაშვილს, რუსულად განსწავლულს და ქართული და რუსული მწერლობის ჩინებულ მცოდნეს, რუსული უფრო ემარჯვებოდა: ამიტომაც არის მისი სპონტანურად შექმნილ თუ გამოზნულად შეთხზულ მოგონებათა დედნები რუსულენოვანი. მეშურების გამოცემაში არ ეშურებოდა: კერძოდ „ტიციანი და მისი მეგობრები“ მისი გარდაცვალებიდან მეოცე წელს, 1985-ში გამოიცა (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რევაზ მარგიალის წინასიტყვაობით, მთარგმნელები — ლ. თევზაძე, ნ. რუხაძე, ლ. ბოლქვაძე, გ. კიკილაშვილი); პეტერბურგელი ლიტერატორის გალინა ცურიკოვას წიგნის „ტიციანი ტაბიძე“ (1971, მოსკოვი-ლენინგრადი) ბევრი საინტერესო პასაჟი სწორედ ნინო მაყაშვილის მონათხრობს ეფუძნება. 1992 წელს გამოცემულ „მერანის“ ვეგდით დასტავებული ნინოს რუსულენოვანი მეშურებიც ცენზურის ჩარევებისგან თავისუფალ, ყველაზე ავთენტურ ტექსტს წარმოგვიჩვენებს.

2015 წელს სანკტ-პეტერბურგში ხელახლა გამოიცა ან უკვე ცენზურის მიერ შეურყვინელი, გალინა ცურიკოვას (გარდაიცვალა 2009 წელს) საარქივო ტექსტი „ტიციანი ტაბიძე, ცხოვრება და პოეზია“ — პირვანდელი, სრული სახით; ისევე, როგორც 1971 წლით დათარიღებული წიგნი, ისიც ნინო ტაბიძისადმი მიძღვნილი. თავის დროზე ნინომ და ნიტამ დიდი სიხარულით მიიღეს ძვირფასი სტუმარი, ბორის პასტერნაკის თაყვანისმცემელი, ჩინებული მკვლევარი და გამომცემელი; ანდეს მას ტიცციანის ხელნაწერები, დოკუმენტები, ეპისტოლური მემკვიდრეობა, გაუზიარეს მოგონებანი მეუღლესა და მამაზე. მიუხედავად ცენზურის სიმკაცრისა, 1971 წლის გამოცემა

მეტად ფასეული აღმოჩნდა.

ნინო მაყაშვილის სიცოცხლეში ერთადერთი მოგონება გამოქვეყნდა: ეს გახლავთ პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი „ჩვენი ავთანდილი“ („მნათობი“, 1964 წელი, №8), სიყვარულით, სინანულით, მადლიერებით განმსჭვალული მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება — ტიცციანის „სიამის ტყუპის“, უღალატო ავთანდილის, ნინოს „ნათლისა“ („კოლომბინა“ პაოლომ შეარქვა) და გაჭირვების ტალკევის უტყუარი პორტრეტი; გაჯერებული მათი ერთობლივი ახალგაზრდული თავგადასავლების იუმორით აღსავსე პერიპეტიებით.

„ცისფერყანნელთა“ პირველი ეპატაჟური ლიტერატურული საღამოები და ჟურნალ „ცისფერი ყანნების“ („მთვლელო“ ქუთაისში მეხის გავარდნის ეფექტი რომ იქონია) ორივე ნომრის გამოსვლა (28 თებერვალი, დეკემბერი) ტიცციანის გარეშე წარიმართა, იგი მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მხოლოდ 1917 წელს დაბრუნდა ქუთაისში.

აქედანვე იწყება მისთვის ახალი, უბედ-

კარიკატურისტებიც, ძირითადად, ტიცციანისა და პაოლოს ტანდემს ხატავენ; განსაკუთრებით საინტერესოა პოლონელი მხატვრის ზიგმუნდ (ზიგა) ვალიშევსკის („ქიმიკოსის“ ერთ-ერთი დეკორატორის) მეგობრული შარჟი.

ტიციანი, სხვა „ცისფერყანნელთა“ დარად, უპირობოდ აღიარებს პაოლოს ლიდერობას: „და იალალზე შენ იქნები მუდამ წინამძღვრად“ (სონეტი „პაოლო იაშვილს“, 1921 წელი).

საქართველოში დაბრუნებული ტიცციანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში უდიდესი როლი ითამაშა შეხვედრამ ნინო მაყაშვილთან — მის მუზასთან, დიდ სიყვარულთან შემდგომში — მეუღლესთან. ნინო თელავის წმინდა ნინოს პანსიონში სწავლის დროს გაეცნო ჟურნალ „ცისფერი ყანნებს“. მისი სიმპათია და ინტერესი კიდევ უფრო გამძაფრდა, როცა თელავიდან თბილისში გადმოსახლებული კონსერვატორიაში გამართულ „ცისფერყანნელთა“ პირველ საღამოს დაესწრო.

პაოლომ, როგორც სჩვეოდა, უჩვეულო დეკორაციით მიიპყრო ყურადღება: სცენაზე, მაგიდას უსხდნენ წითელქულა-ჯიანი პაოლო, ლელი ჯავახიძე ყვითელ-ბაბთიანი ცისფერი პერანგით, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე და შალვა კარმელი. წითელი ღვინის დოქი საცხე ჭიქებით მაგიდაზე და იების ზღვა — უცნაურ სანახაობას წარმოადგენდა. საღამოს ჩვეული გატაცებით, ენამჭევრობით და თავდაჯერებულობით პაოლო უძღვებოდა; ახალგაზრდობა მათ მხარეს იყო, სხვათა აღშფოთებას პოეტები არაფრად აგებდნენ.

„ცისფერყანნელები“ ახლოს გავიცანი, განსაკუთრებით პაოლოს დაუშვებობადი, რომელმაც პირველ შეხვედრისთანავე მომახალა, მეგობრობაში ავთანდილობის განევა ძალმძისო. მართლაც მისმა მეგობრობამ ჩემთან და ტიცციანთან, საცხებით დაადასტურა ეს სიტყვები“ (ნინო მაყაშვილი).

ტიციანს და ნინოს, მისი ადრინდელი ლექსის „პიეროს“ (1916 წელი) გამო, პიერო და კოლომბინა შეარქვეს. მათი უჩვეულო ჩაცმულობა (ნინო განუყრელი წითელი პალტოთი და ლილკილოში მიხაკკაბნეული ტიცციანი), არანაკლებ ექსტრავეგანტული პაოლო, განუყრელი შლიაპით, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცნენ.

ტიციანი არ იყო თავზეხელაღებული და უშიშარი მეამბოხე, უფრო თავდაჭერილი და მორცხვი ეთქმოდა; მხოლოდ ლექსებსა და სტატიებში გამოხატავდა აშკარად კარეხელობას და კადნიერებას, ამის გამო ასცდა ფოლისტერთა პირველ შემოტევებს. მოსკოვიდან დაბრუნებული ერთიანად ჩაერთო „ცისფერყანნელთა“ ლიტერატურულ ბატალიებსა და ბოჰემურ ცხოვრებაში, მათთვის სრულიად ორგანული რომ იყო; ნინო მაყაშვილი მისი ყოველდღიური თუ ლამეული ყოფის განუყრელი მონაწილე გახდა. ძნელი დროება დამდგარიყო, ჯიბე-გაფხეკილ პოეტებს გაუჭირდათ, პაოლოსაც უკვე იშვიათად ეხმარებოდა მამამისი, პროვიზორი ჯიბრაილი, თუმცა მაინც ამბობდა — „ჯერჯერობით ჯიბოს ჯიბით“ ვცხოვრობო. ფული თუ გაუჩნდებოდა, დაუთვლელად, ბლუჯა-ბლუჯა ურიგებდა ახლობლებს. ნინო რეგისტრატორად მუშაობდა, მეგობარ პოეტებთან ღამისთევებმა ცუდი ნაყოფი გამოიღო: ნინო დაავადდა. „პოეზიით შეპყრობილი“ ქალიშვილი „ცისფერყანნელთა“ გვერდით იყო მამამისა, როცა „ფანტასტიკურ ქალაქ“ (გრიგოლ რობაქიძე) თბილისს მოაშურეს პეტერბურგისა და მოსკოვის ავანგარდისტებმა. „არ არსებობდა დღე, ჩემს ძმებთან რომ არ ვყოფილიყავი. არ არსებობდა ღამე, რომელიც ჩემთვის აღმოჩენა არ ყოფილიყო. თანდათან მეც ლექსებით დავსწნულდი. ყოველდღე რითმებითა და რიტმებით ვაპეჯობდით“ (ნინო მაყაშვილი).

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში, რომელიც ქართული კულტურის თითქმის ყველა დარგის აღზევებით, სიახლისადმი სწრაფვით და ევროპული ორიენტაციით გამოირჩა, რუსეთის რევოლუციასა და სამოქალაქო ომს განრიდებულმა რუსმა ხელოვანებმა დროებითი ბინა თბილისში დაიდეს (შემდეგში უმრავლესობა ემიგრაციაში წავიდა, ზოგიც რუსეთში დაბრუნდა) და ნაყ-

ნათქვამია, წიგნებსაც თავისი ბედი აქვსო. ეს ლათინური ფიგურა იმასაც ნიშნავს, რაც მასში ნათქვამი არ არის, მაგრამ იგულისხმება: ავტორსაც თავისი ბედი აქვს...

ამ წიგნის ავტორის თავზე ნისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა, თორემ სხვა ყველა ჭირსახდელი და ვაგლახი გამოიარა.

ენვერ ნიჟარაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მონოგრაფია „გრიგოლ Avalon რობაქიძე და ორი „წიგნაკის“ ერთი საიდუმლოება“ — უცნაური წიგნი საცნაური გრძნობით დაწერილი: უაღრესად მოცულობითი შრომა, დიდი სიყვარულით შესრულებული.

მაგრამ კარგი წიგნის დასაწერად მართო სიყვარული არ არის საკმარისი, ის კი არა, სიყვარულმა შეიძლება ხელისშემშლელის როლიც ითამაშოს.

ობიექტურობა! — აი, ის გრძნობა, რომელიც სიყვარულს არ ახასიათებს, მაგრამ არსებობს იქ, სადაც საქმეს გულის კარნახით აკეთებენ.

ეს წიგნი საქართველოში ვერ დაინერგებოდა. განგების ძალთა და მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა ის დასავლეთ ევროპაში უნდა დაწერილიყო, თანაც დევნილის მიერ. წიგნი დევნილზე დევნილისაგან — პოეტის, პროზაიკოსის, დრამატურგისა და ლიტერატურისმცოდნე ენვერ ნიჟარაძის არმალანი გერმანიიდან, ცხრამეტწლიანი განშორების შემდეგ.

ეს არის გრიგოლ რობაქიძის აპოლოგია, ოღონდ არა ხოტბა-დიდება, არამედ დაცვა, გამართლება, გამოსარჩლება. ავტორის სახელმძღვანელო პრინციპებია — ჭეშმარიტების სამსახური, შეფასებათა ობიექტური კრიტერიუმები და მაღალი ფასეულობითი პარამეტრები.

წიგნის ხასიათს გამოკვეთს მეთოდოლოგიური პოზიციაც — კვლევის კომპარატივისტულ პრინციპებს წარმოაჩენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ტიპოლოგიური ანალოგიები და კავშირები, მსგავსებანი და განსხვავებანი, ლიტერატურულ-სააზროვნო სივრცეების ერთიანობა და ანალიტიკური ნაკითხვები.

ალსანიშნავია ავტორის ინტუიცია, ინტელექტი, შინაგანი რწმენა, პოლემიკური განწყობა და ინდივიდუალიზმი. მას, როგორც კრიტიკოსს, შუალედური მდგომარეობა უკავია მეცნიერულ კვლევასა და ინტერპრეტაციას შორის, რაც, სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმოადგენს ინტერვალს — სციენტისმიდან რეცეფციამდე.


აქ არის ნაკითხვა და განსჯა, თხრობა და ანალიზი, ძიება და შეფასება ანუ, დიდი წინაპრის სიტყვებით რომ ვთქვათ, არის „განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად“.

არის, რასაკვირველია, პოლემიკაც. პოლემიკა იმათთან, ვინც ვერ გაიგო რობაქიძის შემოქმედება, ვინც მცდარ ინტერპრეტაციებზე გვთავაზობს და აკვირებულ შეხედულებებს ავითარებს, ვისაც თვითმიზნური დასკვნები გამოაქვს.

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დაგროვილ ყველა შეცდომას, ყველა მცდარ ცნობას, ინფორმაციას, წარმოდგენასა თუ დასკვნას ძირისძირობამდე განიხილავს ავტორი და მკაცრი, სრული არგუმენტირების მეშვეობით აღადგენს რეალურ სურათს. ამას აკეთებს უდიდესი ტაქტიკით, კორექტულობით, ოპონენტების პატივისა და ღირსების დაცვით.

სტილი, როგორც პიროვნება და წიგნი, როგორც ავტორპორტრეტი! „მოდარაჯე“ მკითხველის თვალს უთოუდ შენიშნავს: გრიგოლ რობაქიძის პიროვნული და შემოქმედებითი ისტორიის თხრობაში სარკისებურად აირეკლება ენვერ ნიჟარაძის სულიერი თავგადასავალი, რაც ხორციელდება ისე, დაახლოებით იმ ფორმით, როგორც ეს ხდება მიქელანჯელო ანტონიონის ან ვუდი ალენის ზოგიერთ ფილმში, როდესაც ანარეკლი იმაზე მეტს მეტყველებს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

წიგნისგან მიღებული პირველი შთაბეჭდილება ვიზუალურია — უზარმაზარი ფორმატი, დიდი მოცულობა, მრავალფეროვანი შინაარსი. 670-გვერდიანი შრომის სტრუქტურა ასეთია: ორი შესავალი თავი აუცილებელი განმარტებისა და წინათქმის სახით; 32 თავი; ბოლოთქმა; შენიშვნები; განმარტებები; ბიოგრაფიები; გამოყენებული ლიტერატურის სია; ანბანური საძიებელი.



ენვერ ამირხანაშვილი

დაბრუნების წიგნი

მეორე ვიზუალ-ფეექტი: გამოყენებული ლიტერატურის სია. ეს გახლავთ ქართულ-გერმანულ-რუსულ-ფრანგულენოვანი ოკეანე — 990 ერთეული გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებების პუბლიკაციებისა და მის შესახებ დაწერილი წიგნებისა თუ სტატიებისა.

მესამე ვიზუალ-ფეექტი: 75 გვერდზე გაშლილი 1716 შენიშვნა, რომელიც თავისი მოცულობითა და მნიშვნელობით სხვა არაფერია, თუ არა მონოგრაფია მონოგრაფიაში.

მოუხედავად ამისა, გარეგნული ეფექტები არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ვკითხულობთ და ვეცნობთ ამ შრომაში. გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და შემოქმედების „პანოპტიკომ“ წარმოდგენილია თემატური პრინციპით. ინყება ორი წიგნაკის — „ადლოფ ჰიტლერი უცხო პოეტის თვალთახედვით“ და „მუსოლინი. მზით აღბეჭდილი“ — საიდუმლოს ახსნით. შემდეგ ნაჩვენებია გრიგოლის მძიმე ხვედრი ემიგრაციაში, ლიტერატურული ბოლაციაში ყოფნა, მეუღლის, ელენა ფილკინას გარდაცვალება, დამოკიდებულება ეზოტერულ მიმდინარეობებთან, ომის წლები, გაქცევა შვეიცარიაში, ზრუნვა საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკურ მომავალზე, შემოქმედების გერმანული აქცენტები და სხვა.

სხენებული ორი წიგნაკი მართლაც საბედისწერო აღმოჩნდა მწერლისთვის. გრიგოლი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. სამშობლოში შერისხული შემოქმედი ევროპაშიც გარიყეს. აუკრძალეს წიგნის გამოცემა. ფაქტობრივად, დუმისის ალყაში მოაქციეს. რუდოლფ კარმანი იყო ერთადერთი, რომელმაც გაბედა მწერლის დაცვა.

გადაჭრით უნდა ითქვას. როდესაც ფაშის ბელადებზე წერს, გრიგოლ რობაქიძის ნაციონალ-სოციალიზმის იდეები კი არ იტაცებს, არამედ ძალაუფლების მითოლოგიურ არქეტიპებს იკვლევს. ისევე, როგორც ლენინისა და სტალინის პორ-

ტრეტების ხატვისას, ბოლშევიზმი კი არ აინტერესებს, არამედ დემონური სანყისის აღმოჩენა ადამიანში. მაგრამ მთავარი და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც გრიგოლ რობაქიძემ „ორი წიგნაკი“ დაწერა, არის ის, რომ იგი ჰიტლერსა და მუსოლინიში ხედავდა იმ ძალას, რომელსაც ახლო მომავალში შეეძლო საქართველოს გათავისუფლება ბოლშევიზმის ბატონობისაგან.

ასეთია ენვერ ნიჟარაძის აზრი, ჩამოყალიბებული ემპირიული მასალის ანალიზისა და ანტიმონოური განსჯის შედეგად.

შთაგონებით არის დაწერილი თავი, რომლის სათაურია „ლამარრრრრა!“ ენვერ ნიჟარაძე ემოციურად აცოცხლებს გრიგოლ რობაქიძის პიესის ტრიუმფს. ნაჩვენებია რობაქიძის დრამატურგიული გმირობა, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის წინააღმდეგობრივი, მაგრამ მაინც ნაყოფიერი თანამშრომლობა. საყურადღებოა წიგნის ავტორის დასკვნები:

„ლამარაში“ ბედნიერად შეერწყა ერთმანეთს მსოფლმხედველობა და თეატრალური ესთეტიკა ორი რეჟისორისა, რომლებსაც იმ ეტაპზე საერთო უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე სანინააღმდეგო და ამ შეწყვეტამ სპექტაკლი სულ სხვა ხარისხში აიყვანა — „წმინდა ქართული თეატრალური სტილის“ სათავესთან, რომელშიც ლირიკული, რომანტიკული, რაინდული და ჰეროიკული ნაკადებია შეწყვეტილი და 1926 წლის 29 იანვარს რუსთაველის სახელობის თეატრში გრიგოლ რობაქიძის „ლამარას“ დადგმით ინყება, თანაბარი უფლებით დგას ორი დიდი რეჟისორი — კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი.

სპექტაკლმა „ლამარამ“ სამი ავტორი: გრიგოლ რობაქიძე, კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი ფიზიკურად ერთმანეთს სამუდამოდ დააშორა, მაგრამ სულიერად დააკავშირა.

ენვერ ნიჟარაძის კვლევითი სტილის

სპეციფიკური ნიშანია ინტუიცია და ლოგიკური აზროვნების შერწყმა. როდესაც ხელთ არ აქვს რეალური დოკუმენტი, ლოგიკის წესს მიმართავს და ნაფიცი მსაჯულივით მიდის საბოლოო დასკვნამდე. ასე აღადგენს, მაგალითად, გრიგოლის შვილობილის, მისი მეუღლის — ელენას დისშვილის, ალიას ცხოვრებისეულ გზას; ამ სულისკვეთებით გვიამბობს რობაქიძის გასვლას საზღვარგარეთ; მის კავშირებს გერმანულ ეზოტერიკულ წრეებთან; რობაქიძის გერმანელი ოპონენტის, მწერალი ქალის — ტამი ოელფენის — კრიტიკულ რეფლექსიებს.

ეზოტერიზმის თემას ეხება თავი — „მე, მრავალ საიდუმლოში განდობილს“. ამ დიდ მონაკვეთში საინტერესოდ არის გადმოცემული გრიგოლ რობაქიძის ურთიერთობა ევროპულ კოლეგებთან და მეგობრებთან, რომლებზეც მომნუსხველ შთაბეჭდილებას ახდენდა ქართველი მწერლის ინტელექტი, ტემპერამენტი, ნებელობა და რაღაც ფარული ენერჯია.

ენვერ ნიჟარაძეს მოუძებნია ნიკოლაუს ზომბარტის, გერდა ვანდა პოლაის, ჰანს კრისტოფ ბინსვანგერის, ვერნერ ვინის და სხვათა ჩანაწერები. მხატვარ ბარბარა მიშელ-იაგერჰუბერს კი პირადად შეჰხვედრია და გასაუბრებია.

საინტერესოა ვერნერ ვინის მიერ დახატული გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურული პორტრეტი, რომელიც 1935 წელს გამოქვეყნებულ სტატიამია ჩართული: „უკვე მისი გარეგანი გამოქვეყნებით: ჯიშის მლალადებელი, კალმით აღუწერელი, კეთილშობილი მოძრაობით, შემაშინებლად დიდი, შავი თვალების ცვალებადი, ჯერ შიგნით ჩაბრუნებული და მერე ისევ ცეცხლისა და წინასწარმეტყველური გზების მფრქვეველი მზერით, ფერმკრთალი სახის კანით, თმის უცნაური ნყობით, უწინარეს ყოვლისა კი — წინადადებათა შემაკრთობლად უცხო მელოდიურობის მიუხედავად — ლაპარაკის დამატყვევებელი მანერით, მაშინვე სრულიად უცხოქვეყნიური, განსაცვიფრებელი მთაბეჭდილება აღიძვრება“.

იყო თუ არა გრიგოლ რობაქიძე ოკულტისტი? სპეკულაციები ამ თემაზე გერმანიაშიც მიმდინარეობდა. ზემოთ აღნიშნულ თავში დიდი ადგილი ეთმობა ნიკოლაუს ზომბარტის ცნობებს იმის შესახებ, რომ გრიგოლ რობაქიძე იყო ოკულტისტი და ენეოდა ოკულტისტურ პრაქტიკას. ზომბარტი იმასაც წერს, რომ რობაქიძე „ელიტარულ მამაკაცთა კავშირში“ შედიოდა. ეს კავშირი წარმოადგენდა წმინდა გერმანულ მოვლენას, რომელიც დაუპირისპირდა განმანათლებელთა სულიერ ღირებულებებსა და საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის იდეებს, კერძოდ, თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის, როგორც თვითონ ამბობდნენ, „ბოროტ სამებას“. ზომბარტის თანახმად, ელიტარულ შეთქმულ მამაკაცებს აერთიანებდა სამი რამე: აღმოსავლური ფილოსოფიის სიყვარული, ნაცისტური რეჟიმის სიძულვილი და ჰომოეროტიკული მიდრეკილებები.

ენვერ ნიჟარაძე დაწერილებით განიხილავს ამ პრინციპებს, აანალიზებს სამი მეგობრის — ჰანს ჰასო ფონ ველტჰაიმ-ოსტრაუს, ბრუნო გოეცისა და გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობას, ზნეობრივ პრინციპებსა და ცხოვრებისეულ დეტალებს. შეიძლება ითქვას, ეს არის არა მარტო განხილვა, არამედ სამეცნიერო ეტიუდი, თავისი ნაწინამძღვრებით, ინდექსური და ინკურსივით და ლოგიკური დასკვნით, — რომ რაიმე პროგრამული თანხვედრა გრიგოლ რობაქიძეს რჩეულ შეთქმულ მამაკაცთა საზოგადოებასთან არ ჰქონია და, შესაბამისად, არც შეიძლება იყოს მისი ნევირ ყოფილიყო. უბრალოდ, გრიგოლს ოსტრაუსთან და გოეცთან პირადი და პროფესიული დამოკიდებულება აკავშირებდა.

რაც შეეხება ჰომოეროტიზმის თემას, წიგნის ავტორს არაერთი არგუმენტი მოჰყავს იმის დასადასტურებლად, რომ გრიგოლ რობაქიძე ყოველთვის ცდილობდა, ჰომოეროტიზმისაგან გამიჯნულიყო. ენვერ ნიჟარაძის დასკვნით — „ქალის ანდამატი გრიგოლს სიკვდილამდე გაუნელებელი ძალით იზიდავდა და უნდა ითქვას, რომ ქალმერთი აფროდიტეც მას

დასასრული მე-15 გვერდზე

ყოველდღე ვინც ცხოვრობას...
თუმცა თავიდან ვერა...
გზების ტკეპნას და სწორებას...
მომავალსაც კი ვზვერაგ...
მერე რა, დღეს თუ უცხო ვარ...
ვემდური ბედისწერას...
ჩემში დროს ვხედავ უხსოვარს...
და ხვედრის შეცვლის მჯერა...

ნულა ნაღვლობ სიცოცხლეზე,
წყალზე, გამხმარ პურზე...
წლებზე, ამ ქურდბაცაცებზე,
დროზე — გაპარულზე!..
ნურც სიკვდილზე!..
იქ წასვლაზე,
გზაზე ძნელს და რთულზე...
დაიკიდე ყველაფერი...
მოგემეება გულზე!..

დილით აყენებ ჩაის...
და უცქერ ფოთოლცვენას...
ისეთს ველარ გრძნობ „კაიფს“,
რაც ამოიდგამს ენას...
გადმოიღვრება ლექსად,
სიხარულად თუ წყენად...
გაცრეცილ გრძნობებს კემსავ...
ძაბავ მზერას და სმენას...
ცოცხალი რომ ხარ, განა
ეს ცოტა რამეს ნიშნავს?..
ბევრი არ დაგრჩა ხანი,
უახლოვდები მიჯნას!..

ბოდიშს ვიხდი...
ვშიშვლდები თუ...
ტანზე სამოსს ვიცვლი?..
განწმენდილად ვითვლები თუ
ახალ ცოდვას ვითვლი?..
ღმერთმა უწყის კაცის გული,
მორევივით შავი...
ვნებებისგან დაცხრილული
რომ გმინავს და ბლავის...

შიში აღარ მაქვს...
მკლავს ინტერესი...
უცნაურია ერთობ...
აღმართ-დაღმართზე,
თუ მთის კალთებზე
მიუყვებოდი ფერდობს —
შენი ხატება
რწმენად, იმედად,
ნათელ შუქურად მენტო!..
შიში აღარ მკლავს...
მკლავს სიყვარული...
შენი, უფალო ღმერთო!..

რატომ ხდება ყველაფერი ერთფერი,
სიბერე რომ კარზე მოგაკაულებს?..
სიხალისე, ლხინი აღარ შეგფერის,
იჭვით უმზერ, რაც კი ოდით გარგუნეს...
დრონი მეფობს, დრონი! — არა მეფენი,
იმეორებ სიტყვებს ზუსტს და დამთრგუნველს...
თან გასცქერი მთის კალთებზე შეფენილ —
ხეებს შიშველს, უფლის ხელით დარგულებს...

რომც მომკლათ... სიტყვას ვერ დაენერ
ისე, არაფრის გამო...
თუ არ მომყვება ფეხდაფეხ —
ჩემ გასწვრივს არ ლამობს...
გონს სიხარული აცოცხლებს,
სულს კი სითბოთი ავსებს...
და გარდმოსული ნათელი
სვეტად მადგება თავზე...
აი, მაშინ კი ხშირდება
გულისცემა და ფეთქვა...
მშველელიც მაშინ მჭირდება...
სისხლი საფეთქლებს ხეთქავს!..

ნუთუ მეც იმათგანი ვარ,
ვინც ღვარა ფუთი ოფლი!..
ვერ ჩასწვდა კუდის რიკამდე
ბრუნვას ამ ნუთისოფლის?!.
საათს და დღეზე რომ არ ვთქვათ...
ნამიც ვერ შეაჩერა...



ზურაბ ლობჯანიძე

დრო თავიდან ვერ მომართა...
და ალაღბებდად წერა?!

ჩემი თავის მეშინია,
სხვების უფრო ნაკლებ...
იქნებ მართლა შემლილია,
ანდა რამეს ვაკლებ...
ვერას გეტყვით... მაგრამ ვიცი,
ერთხელ მართლა შემჭამს...
დაუნდობელ მონსტრად იქცა,
არ შედრკება ერთ ნამს...

მეტი შრომისგან სიკვდილი
გამხდარა, დამჭლევებულა...
პირზე მიმჭკნარი ლიმილით
კიდევაც გამხნევებულა...
რადგანაც ჩადის სიკეთეს,
მხრებით გვატარებს ზეცამდის...
ნირშეცვლილთ გულებს გვიკეთებს
აქ, როცა ჩვენი მზე ჩადის...

მაინც რა იყო მთავარი,
გამელიმება რაზე...
ახლობელი თუ მავანი —
შორს გადმომდგარი მთაზე?..
რამე უჩინო, წვრილმანი,
მბჟუტავი მიმქრალ ხმაზე...
თუ ხმამაღალი, მყვირალი,
დღე-ღამ რომ გვადგას თავზე?!
...
მაინც რა იყო მთავარი,
გამელიმება რაზე?..

რა თქმა უნდა — შეცდომები მქონდა...
რა თქმა უნდა — სინანულიც მიპყრობს...
როგორ არა — ზენა ქარიც ქროდა...
იმიტომაც არ ვემდური იმ დროს...
ყველა ჩემი გრძნობა იყო სუფთა,
სიხარულიც, აღმფოთებაც, წყენაც!..
სიტყვის მაღლი ციდან ცამდე ქუხდა —
აცოცხლებდა კაცის გულს და რწმენას...

არ მაინყდება მე მისი სახე...
წუხელ, სიზმარში სიკვდილი ვნახე...

ის იყო ბავშვი, მოხუცი ბავშვი,
რომელიც ჩიტებს უგებდა მახეს...
მილიმოდა და მიქნევდა თეთრ ხელს,
სითბო, ალერსი უთრთოდა ხმაში...
და გამახსენდა — იქ ვნახე ერთხელ,
აქ წამოსვლამდე... იქ, სწორედ მაშინ...

წარსული მოხუცივით ხენემის
და უგულობაში გვამხელს!..
როგორც ხე, შესული ხნეში —
ხმელ ტოტებს საწყლად რომ არხეებს...
წმინდა წიგნს ჩაფყურებ რიდით...
იქ ვეძებ ჩვენს ნამდვილ სახეს...
წლები კი მიდის და მიდის,
არ ტოვებს მონმეს და მნახველს...

ასე სასომიხდილი
თავი ჯერ მე არ მახსოვს...
ასე ახლოს სიკვდილი
არ მიგრძენია არასდროს!..
უჩინარი როდია,
წამითაც ვერ ვიცოლებ...
ერთად მივდი-მოვდივართ,
ვიღვიძებთ და ვიძინებთ...

კითხვა — ღირდა აქ ცხოვრება
ამდენ ტანჯვა-წვალებად?! —
ღიად რჩება, განშორებას —
ელის გარდაცვალება...
იქ ნანახით განსჯის მხოლოდ
(ნანახი სჯობს გაგონილს...),
მირახრახებს ათი ბოლო
ჯართით სავსე ვაგონი!..

მიჭირს ცხოვრება ძალიან,
ყოფის ჭაობმა მშთანთქა...
სიტყვისთვის აღარ მცალია,
აღარც კი ვიცი, რა ვთქვა!..
წყნარი და მშვიდი სიბერის
და სიხარულის ნაცვლად...
თვალცრემლიანი სიმღერით
სულის გვემა და ჯვარცმა...
მიმერეკება, მიმდენის
უკმარისობის განცდა!..



ჯემალ
ინჯია

უშვური და უკარება

ჩემს წიგნში, როგორც სახლში, შეხვედით —
მე და ჩემს ლექსებს ბედი გვიღიმი,
მკაცრს, უკარებას, ერთი შეხედვით,
თურმე როგორც ცეცხლი გიღვივით.

თქვენ არ გაშინებთ დაქალის ბრანჩი
და არც გუნდრუკის გჭირდებათ კმევა,
ქვეყნად ისეთი უშვური კაცის
შეყვარებისთვის, როგორც მე ვარ.

მე შენ მახსოვხარ,
საყვარლო, ნებისმიერ დროს —
თვით მაშინაც კი,
წესით, რომ არ უნდა მახსოვდე.
სული მზად არის
შენი ნდობის ჯებირს მიენდოს,
ცილისნამების რაც არ უნდა ბადეს მაქსოვდნენ.

კეთილშობილი
ბრძანდები და ისე გულჩვილი,
საკუთარ თავში
თანალმობის გრძნობ ღრმა საბადოს.
ჩემთვის: ანთიხარ
ბიბლიური მაცყვის ბუჩქით.
სხვისთვის: ქალი ხარ,
ვინც შვილები უნდა დაბადოს.

ავადყოფი კოპიტის მონოლოგი

შმაგი მიჯნურის იარლიყამდის
ერთი ნაბიჯი ყოფილა სულ,
მე თქვენ უბრალოდ კი არ მიყვარდით,
თქვენით ვიდგამდი უბადრუკ სულს.

გავიგე, რომ ქმრით გსურთ მობრძანება,
როცა სალმობის კლანჭებში ვარ,
მე და ჩემს ლექსებს სულთმობრძავებად
ვინმე რომ გვთვლიდეს, არ მინდა, არ.

გასწიეთ ზღვისკენ. იქ დაისვენეთ
უხერხულობას ამაყდენთ მეც.
თანაყოლილი თვალთა სისველე
გააშრობინეთ აჭარის მზეს.

მე ახლა მინდა გესაუბროთ უბრალო ენით
ჩემთვის ერთადერთ სურნელოვან ყვავილ-ბანოვანს.
იმაზე მეტ დროს არ წაგართმევთ, ნაბანოვარს,
რაც დაბანილი თმის გაშრობას სჭირდება „ფენით“.

ამიერიდან კალმის კაცებს სხვარიგ შეხედეთ.
მჯერა, რომ ჩემზე აღარ იტყვი —
თითქოს ფრანტი ვარ.
გონი ისეთმა მგზნებარებამ დაგვაფანტინა,
რაც მოჰყვებოდა ხანმოკლე და შლეგურ შეხვედრებს.

ამიერიდან არ წამოგცდეთ მგოსნებზე ძვირი,
თქვენ ხომ დარწმუნდით —
არ ყოფილან თურმე გულქვანი.
მათ შესძლებიათ, გააღვიძონ ქალში ვულკანი,
მიძინებული კარგა ხნის წინ საღათას ძილით.

რომელიც მიქროდა, რად ჩადგა ის ქარი,
სად გაქრა მისხალი იმედის კონცხიდან?
რა ძალამ მომწყვიტა მკერდიდან მზის ქალი,
მე, როგორც ცისკარი, ისე რომ მკოცნიდა?

რა იქნა, პოეტო, ის შენი მგლის მუხლი,
თუ შენი მიმწუხრი უნდება ზნის დაცვას?
ვინ უძლებს მზისდარ წვას, ვის უჭირს, ვის უღბინს?
ქედს რას და ვის უხრი? შენს ტახტზე ვის დასვამ?

სახე რომ არა აქვთ, ნიღბებით მოდიან
და რიდი როდი აქვთ ამქვეყნად არც რისი,
ვინ არის ნარცისი, ვინ ოქროს ზოდია...
არადა, ცოდვიან ხალხს ვხედავ ტაძრის წინ.

კადრი

თავი გამოყო
თაგვმა ლობიდან —
კატა არ ჩანდა.
დაკმაყოფილდა.

გვალვა სასაფლაოზე

ჩემი სამარის იები მორცხვად
ელიან შენი ცრემლებით მორწყვას.

შახვედრის შეშვება

კითხვები... თან ყველა თხოულობს ავტოგრაფს.
გზადაგზა ვიძლევი როყიო პასუხებს —
კითხვებზე — სულ მუდამ უღვაში რატომ გაქვს
ან სტენოკარდია თუ ისევე განუხებს.

ყვავილს თუ ეტრფიო. არც ისე სანდო ვარ,
ჩემს შემოქმედებას ფერებით სულ ვერ ვრთავ,
სუნით კი... ყვავილის სურნელი სად მოგა
საყვარლის საყვარელ სუნამოს სურნელთან.

გაიქვარა

მგოსანთა ხელმწიფის პორფირი
შენგან რომ შორს იყო, იცოდი.
ერთგულთან სცოდავდი ორპირი
და, ვგონებ, ამაყობ იმ ცოდვით.

დღეს ნერვებს მარტოკა ის გიშლის,
თუ რატომ მკითხაობს ქვეყანა —
ყოველი მთავრობის წისქვილში
ხვიმირას შენი რად ეყარა.

მცხეთის ქუჩაში

ის მოდიოდა, სასწაულმა
მწვანე გაზონთან გამაქვავა.
აბა, სასწაულს რას ნაუვალ —
მან გამაჩერა, განა ქალმა.

ნუთუ იმიტომ მომეახლა,
რომ მომიგზავნა ეგ მესიამ?
საოცრებაა! ო, მე ახლა
ქალს ვუყურებ თუ ეკლესიას?!

მშვენებამ, ელვად მოვარდნილმა,
მზერით ღვთიური ზეთი მცხო მე.
მოდის და ვხედავ, რომ წამდვილად
ფეხი აუდგამს სვეტიცხოველს.

უიღვლო ღამე

საფრანგეთიდან
ჩამოსული წერილი-ფოსტა

იტყობინება:
ჩქარა! გელით! მე ლოლია რომ
არ მყავდეს გვერდით,
ხომ შემშლიდა ამდენის მოცდა?!
დამხედე მარტო,
კი არა გთხოვ, მელოლიავო.

ბრძენი აკაკი
წერეთელი
მაგიდას უზის.
ბოლოხანს იგი
არცთუ ისე მოგებაშია.
მაინცდამაინც
დღეს შემოსწყრა კოზირის ტუზი
და ველარც ხელი
გაუმართა გოგებაშვილმა.

მარსელის პორტში
მას მეუღლე და ძე უცდია —
მათი თვალებით
ზღვას გაჰყურებს მთელი მარსელი.
პოეტს კი თავის
დარწმუნება ბევრჯერ უცდია,
რომ იქ წამდვილად
ძე მამას და ცოლი ქმარს ელის.

ცუდი ღამეა.
გაჯიუტდა კარტი — არ მისდის...
და იტყვის, როცა
ბოლო გროშებს სხვისკენ გალაღავს:
„ჩემი ჯალაბი
საფრანგეთში მე კი არ მიცდის,
ჩემს ჯიბეს უცდის
გამოფხეკილს და ფარლალალას.“

თვითავკლავი კოპიტის ჰიმნი საფოტოლოს

„ჩვენ ვიხოცებით...“
ესენინი — „ბრიუსოვის ხსოვნას“

ვინც დაიღუპა, ვინც ვიღუპებით,
ვინც მოუკვდება ჩვენსავით ხვალ ერს,
მათი სახელით, მათი უფლებით
მადლობას ვუხდი მშობლიურ მხარეს.

ვმადლობ სამშობლოს — ლამის სატანის
თვალზეც კი ცრემლის მომგვრელ მშვენებას,
აუტანელ თუ წერას ატანელ
შვილებს სიკვდილში რომ გვეშველება.

გორ-თბილისის გზაზე

მე მახსოვს: ყანა ნამახობლარი,
ნაქერალები, ნაფეტვარები...
ჟუჟუნა წვიმამ ნამა ხორბალი,
ჟუჟუნავ, შენ კი ნაბე თვალები.

იმ მოლოდინის მაგვარ ოცნებით —
წეროვანში თუ კოდისწყაროში
ჩვენი სამშობლო ბარბაროსების
დამფრენ არწივებს როდის წამოშლის.

ისტორიის ქარები

მიხეილ მამფორიას ნათელ ხსოვნას

ჩამოატარეს პოდიუმზე უცხო ერებმა
საფო, სარგონი, კლეოპატრა, სინაქერიბი.
ხსოვნა არ ცვდება, კაცს თუკი აქვს მესხიერება,
ქვენაქარები იცვლებიან ზენაქარებით.

დღეს ჩემს ხსოვნაში დროშასავით ამოფრიალდით
და დაჭინებით მთხოვენ ლექსის წერას თითები.
დღეს მე, ხანდაზმულს, ისევე მახსოვს თქვენი „ფრიადი“,
მაგრამ თქვენს ღიმილს ვერ ვიხსენებ ვერასდიდებით.

ჩეკაში თურმე შეგვიცვალეს დახვრეტის მუხლი,
დადებული აქვს ამ თემაზე საუბარს ტაბუ.
დღეს სტუდენტებთან თქვენ გამალეთ ორთავე მუხლი,
რომელთაც უყრით წინაპრების დაკარგულ საბუთს.

თქვენი ხელიდან ისტორიის ფოლიანტები
იფანტებიან და ჩვენს სულელებს ეპატრონებით.
ბოლია, რომი იწვის და ჩვენც ცოლიანდებით,
ჩვენც ვკვდებით, როგორც სპარტაკები, ევპატორები.

ხან ურიები ვართ და ჯვარზე ძე ღვთისა ვაცვით,
ხან წარმართები ვართ და ვწირავთ ამონს ზეთისხილს.
ხან ჩვენ თვალეზნის ემსგავსებით ცოცხალი კაცი
ტუტანჰამონის აკლდამიდან ამოსხლეტილ სხივს.

ჩამოატარეს პოდიუმზე უცხო ერებმა
საფო, სარგონი, კლეოპატრა, სინაქერიბი.
ხსოვნა არ ცვდება, კაცს თუკი აქვს მესხიერება,
ქვენაქარები იცვლებიან ზენაქარებით.

საკუთარ თავს

უკვირთ, როდესაც ბედმა გიმუხთლა, ყურები რატომ არ ჩამოყარე...

ბევრია ღრენა, მცირე ალერსი, ირიდებ: მზაკვრებს, ფლიდებს, მხვეტავებს...

ცელის პატრონი

ბიბინა ბალახს შევრჩი და მხიბლავს შრიალი ყანისა, ველს გადუფრინა მწყერჩიტამ...

ცელის პატრონო, დამჭენარი მე არ გეგონო ყვავილი, მომწყდი, თავზე ნუ დამჩხავი...

უცხოვლანეტელებო, რად არ იღებთ ტელეფონს?!

თავაზუა და ქუდაზუა

კაცს თავი რაც არ უნდა უყვარდეს, თუ წვიმს, უქუდაოდ მოჩანს ბელურად...

ქუდი სვანური, ქუდი კახური, ქუდი-ფაფახი, ქუდი-სომბრერო...


როცა მინდორში, თუ გინდა, მთაში თმას მშობლიური ნიაგი მიშლის...

ნასვლის ნიშ

ხომ არ მინყრები იმის გამო, რომ პოეტები არ მოეღიან...

ლამაზ სურვილებს ვაჯაბნინებ ფიქრებს ამაზრუნეს, მსურს მოგანონო...

თუმცაღა არე მიმცირდება, როგორც სივრცე გემს, გზად მეჩეჩი რომ...



ღაიუჭი

ჯერ სათითაოდ გამოჩნდნენ. ენაგად-მოგდებულები, მხიარული ქმენით დასუნ-სულელებდნენ ქუჩაში...

თავიდან მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. როდესაც ორი ძალი დაბო-დილობდა ქუჩაში...

იმ დღეს მაგვიანდებოდა. გაუყუცი ქუჩას. საი ძალი მზეში მიწოლილიყო, მალაზიის შორიხეობა...

ჩაი



ცოტა ხანს მიყურა და წინ გამიძღვა. რამდენიმე ბიჭმა ჩაგვიარა, ცნობისმოყვარედ გამოგვხედეს...

გზა განვაგრძეთ. ისევ ჩემს გვერდით მოხტოდა. უნივერსიტეტს მივუახლოვდით...

თამარ ნამგლადი

ახსენდა, რომ თუ წავიდოდა, ისევ ჩემს ქუჩაზე დაბრუნდებოდა, სხვა ძაღლებთან...

დაბნელდა, უცარმა გინასმა გამაყრუა — ყეფა, ღრენა, ნკმუტუნი, თითქმის ტირილი...

ფანჯარა დავხურე და სამზარეულოში გავედი. ვერ ვისვენებდი. ხმაურს ვაყურადებდი...

ძალიან დავილაღე იმ დღეს. დავიძინე. ერთი-ორჯერ ძაღლის ნკმუტუნმა შემანუხა...

მშვენიერ ხასიათზე გამეღვიძა. აღარც მახსოვდა. მხოლოდ მეზობლის ბულდოგის ხმა მამოგონა...

პოლკოვნიკმა ჩემი პუნქტუალობა შეაქო.

— გერმანელივით პუნქტუალური ხართ. ან თუნდაც, ინგლისელივით. თავად გერმანული გვარი აქვს. ახოვანი, მსხვილი მამაკაცია — ფართო და გარუფული სახით. — ნავიკითხე თქვენი სტატიები. გილოცავთ! — დასძინა.

ვიდრე ორ დიდ ქიქაში ვისკის ასხამს, სასხვათაშორისოდ მაცნობებს, რომ საინფორმაციო სამსახურის ოცნლიანი გამოცდილება აქვს, ისწავლა ფილოსოფია და ლიტერატურა, აინტერესებს ხელოვნება. არაფერს გამოკვეთს. ესაა, მხოლოდ სამუშაო ნიდადას ამზადებს საერთო და ბუნდოვანი გარემოსთვის.

მეათე სართულის ფართო სარკმლიდან შებინდებული ქალაქი მოჩანს, მდინარის მკრთალი ფერებით. აქედან, თუნდაც წამიერად, ადვილია ბუნოს აირვის შეყვარება. ჩვენი თავშეყრის მიზეზში კი სასიყვარულო არაფერია.

პოლკოვნიკი ეძებს სახელებს, საბუთებს, რომელიც შესაძლოა მე მქონდეს.

მე ვეძებ გარდაცვლილ ქალს, ადგილს რუკაზე. ეს ჯერ კიდევ არაა ძიება. ფანტაზია უფროა: ფანტაზიის დამახინჯებული სახე, რომელიც მე უნდა გადამხდენოდა, ასე ფიქრობს ზოგიერთი.

ერთხელაც, ალბათ განრისხების ჟამს, მის მოსაძებნად გავეშურები. ეს ქალი არაფერს ნიშნავს ჩემთვის, მაგრამ მაინც გავუყვები საიდუმლო გარდაცვალეების კვალს მისი ნეშტის კვალდაკვალ, რომელიც სასაფლაოზე რომ ღვება. თუ ვიპოვი, ციებ-ცხელება, შიში და იმედგაცრუებული სიყვარული ძლიერი და შურისმაძიებელი ტალღებით აღიმართება. რაღაც მომენტში თავს მარტოსულად, გარიყულად, მივიწყებულ ჩრდილად აღარ ვიგრძნობ.

პოლკოვნიკმა იცის, სადაცაა. თავისუფლად გადაადგილდება სპილოს ძვლით და ბრინჯაოთი მოკაზმულ ავეჯიან ბინაში. მასისენის და კანტონის თეფშებს შორის? გაიცინა ჯონკინის ცრუ და ფიგარის საეჭვო ტილოების ნინაშე?... ნეტავ, რა სახეს მიიღებს, რომ ვუთხრა, ვინ აწარმოებს ჯონკინის ნივთებს. ამის ნაცვლად კი ვისკის ვაქებ.

სვამს ენერგიულად, სადღეგრძელოებით, ენთუზიაზმით, მხიარულად, უპირატესობით, აბუჩად აგდებით. ვიდრე მისი თითები ნელა ატრიალებენ ქიქას, სახე გამუდმებით ეცვლება.

— აი, საბუთები, — ამბობს. გავიხედე. — ეს ქალი, პოლკოვნიკო. იცინის. — ყველაფერი გადაჯაჭვულია ხომ, — ასკვნის.

ვენური ფაიფურის ერთი ქანდაკების სადგამს ნაწილი მომტვრევია. ბროლის ნათურა გაბზარულია. მონისლული და მომღიმარი თვალებით პოლკოვნიკმა ბომბზე ჩამოაგდო სიტყვა.

— ლერძულა ხაზზე დაამაგრეს. ფიქრობენ, რომ დამნაშავე მე ვარ. ამ ქეციაზემარ რომ იცოდნენ, რა გავაკეთე მათთვის.

— მსხვერპლი დიდი იყო? — ვეკითხები, თუმცა, რა ჯანდაბად მაინტერესებს.

— საკმაოდ. ჩემი გოგონა ფსიქიატრთან მისაყვანი გამიხდა. 12 წლისაა.

განრისხებით, სევდით, შიშით, სინდისის ქენჯნით სვამს.

მისი ცოლი შემოდის ყავის ორი ფინჯანით.

— შენ მოუყევი, შავტუხავ.

ქალი ხმისამოულებლად გადის. მალალი, ამაყი, ნერვული იერის ქალია. მისი სიძულვილი ღრუბლის ნაფლეთივით დაცურავს.

— სანყალი. ძალიან დაზარალდა, — მისხნის პოლკოვნიკი, — მაგრამ თქვენ ეს არც განაღვლებთ.

— როგორ არ მანაღვლებს!.. მოვისმინე, ამბობდნენ კაპიტან ნ-ს და მაიორ იქს-საც რაღაც მსგავსი უბედურება გადახდენიათ.

პოლკოვნიკი იცინის.

— სახალხო ფანტაზია. ეს კარგად მუშაობს. თუმცა, საფუძველში მაინც არაფერს იგონებენ, მხოლოდ იმეორებენ.

მარლბოროს მოუკიდა და კოლოფი ჩემ სიახლოვეს დადო.

— მითხარით ნებისმიერი ახალი ხუმრობა.



როდოლოფო უოლში

როდოლოფო უოლში (1927-1977) — არგენტინელი მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი. მას ეკუთვნის არაერთი ჟურნალისტური ძიება და ისტორიული ნოველა. იყო მონტონერების პარტიზანული ჯგუფის წევრი. 1977 წელს, სამხედრო დიქტატურის პერიოდში, მოკლეს და უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. მის მოთხრობას — „ეს ქალი“ — საფუძვლად დაედო არგენტინის ყოფილი პრეზიდენტის ხუან დომინგო პერონის მეუღლის, ევა პერონის მუმიფიცირებული ცხედრის გაუჩინარების ამბავი.



ვფიქრობ და არაფერი მასხენდება. — ნებისმიერი პოლიტიკური ხუმრობა, რაც გნებავთ, და დაგიმტკიცებთ, რომ ის ოცი წლის წინ, რომ მოცდაათის, საუკუნეა, გამოიგონეს. სედანითან მარცხის⁴, ან მაგალითად, ჰინდენბურგის⁵, დოლფუსის⁶, ბადოლიოს შემდეგ⁷.

— ეს როგორ? — ტუტანჰამონის საფლავი. ლორდი კარნაონი⁸. ნაგავი.

— მაგრამ მაიორმა იქს-მა ხომ შემთხვევით მოკლა ცოლი.

— კი, როგორ არა, — თქვა და ყინულიანი ქიქა გაანკრილა.

— გამთენიისას ესროლა. ქურდში შეეშალა. ასეთები ხდება ხოლმე, — გაიცინა.

— და კაპიტანი ნ-ი? — ავტომობილს შეეჯახა. როგორც სხვები, ისიც, თავის წინ უნაგირიან ცხენს რომ ვერ ხედავენ.

— თქვენ, პოლკოვნიკო? — მე სხვა რამ გადახდა. მე დამაფიცეს.

შეჩერდა და შემდეგ მაგიდას შემოუარა.

— მე დამნაშავედ მიმიჩნევენ. ამ ქეციანებმა არ იციან, რა გავაკეთე მათთვის. მაგრამ ამაზე ერთ დღესაც ისტორია დანერს... იქნებ ეს თქვენ იყო.

— სიამოვნებით. — და მე სუფთა, კეთილი გამოვალ.

თუმცა, სულაც არ მადარდებს, როგორი ვიქნები ამ ქეციანებთან, მაგრამ ისტორიის ნინაშე... ხომ გესმით?

— ნეტავ, ჩემზე იყოს დამოკიდებული, პოლკოვნიკო.

— ისინი წრეს არტყამდნენ, უცებ ერთი გამოეყო, ხრახნზე ბომბი დაამაგრა და გაიქცა.

ვიტრინაში ხელი შეყო და ნახევრად ქრომირებული ფაიფურის პატარა ფიგურა გამოიღო, მწყემსი ქალი ყვავილების

კალათით ხელში. შევხედე. ქალს მხარი ჰქონდა მოტყუილი.

— დეობი. ორასი წელი, — თქვა პოლკოვნიკმა.

მისი ხელები უცებ დანაზდა და ქალიც ამ ხელებში დაიკარგა. ღამის ტყვილიან სახეზე პოლკოვნიკს რკინის მიმიკა აღებეჭდა.

— რატომ მიაჩნიახართ დამნაშავედ? — იმიტომ, რომ მე ის ქალი წამოვიყვანე. ეს უტყუარია. და იქ მივიყვანე, სადაც ახლაა. და ესეც უტყუარია. ამ ქეციანებმა არ იციან, რა უნდოდათ. არც ის, რომ ხელი მე შევუშალე.

პოლკოვნიკი მგზნებარედ, სიამაყით, მტკიცედ, მჭერმეტყველურად, მოხერხებულად სვამს.

— იმიტომ, რომ მე ისტორიას ვსწავლობდი. საგანთა ხედვა ისტორიული პერსპექტივიდან შემიძლია. ჰეგელს ვკითხულობდი.

— რისი გაკეთება უნდოდათ? — მდინარეში უნდოდათ მისი ჩაძირვა, თვითმფრინავიდან გადაგდება, მისი ნაშთების უნიტაში ჩაყრა, მუჯავში გახსნა.

რამდენი ნაგავის მოსმენა უნევს კაცს. ნეტავ, საიდან მოდის ამდენი ნაგავი? ყელამდე კი ვართ.

— ყველა, პოლკოვნიკო, ზოგადად, ყველა თანახმა ვართ, რომ ასეა. განადგურების დრო მოვიდა, ყველაფერი უნდა დაიმსხვრეს.

— ზედ აპარდავენენ. — სინდისის ქენჯნის გარეშე, პოლკოვნიკო. ბომბის და არაკაცების მხიარული შემართებით, გავეიმარჯოს! — ვამბობ და ქიქას მალა ვწევ.

არ მპასუხობს. ფანჯარასთან ვსხედვართ, ვერცხლისფრად ბზინავენ ნავსადგურის მუქები. მონტონურად ისმის შორიდან მოღწეული ავტომობილების საყვირის ხმა. პოლკოვნიკის ნაცრისფერი სახის

ლაქა მის თეთრ პერანგზე ირეკლება.

ჩურჩული შემომესმა — „ეს ქალი შიშველი ინვა კუბოში. ქალწულს გავდა. კანი გამჭვირვალე გახდომოდა, სიმსივნის მეტასტაზები მოჩანდა, როგორც ფანჯრის სველ მინაზე დახატული სურათი“.

პოლკოვნიკმა დალია — მძიმედ. — შიშველი, — განაგრძო, — ოთხნი თუ ხუთნი ვიყავით და მისთვის შეხედვა არ გვინდოდა. გემის კაპიტანი და გალიციელიც იქ იყვნენ, ვინც დააბაზამა. აღარ მახსოვს, კიდევ ვინ. კუბოდან რომ ამოვიყვანეთ, ეს საზიზღარი გალიციელი... — პოლკოვნიკმა შუბლი მოინმინდა.

როგორც თეატრში, ისე თანდათანობით შებინდა. პოლკოვნიკის სახე უჩინარი გახდა.

მხოლოდ ვისკი ბრწყინავს მის ქიქაში მინაველებული ცეცხლივით. სადარბაზოს ღია კარიდან შორეული ხმები შემოდის. ლიფტის კარი დაიხურა ქვედა სართულზე და გაიხსნა ახლოს. უზარმაზარი შენობა ჩურჩულებს, სუნთქავს, ყურყურებს, თავისი მილსადენებით, ნაგვის ურნებით, სამზარეულოებით, ბიჭებით, ტელევიზორებით, მოსამსახურეებით.

პოლკოვნიკი შეჩერდა. შეუმჩნევლად, საიდანადაც რევოლვერი აიღო. თითის წვერებით დერეფნისკენ გაემართა, შუქი სწრაფად ანთო და ასეკეტურ, გეომეტრიულ, ირონიულ, ცარიელ დერეფანს გახედდა — ლიფტს, კიბეს, სადაც არავინ იყო და ფრთხილად დაბრუნდა, იარაღით ხელში.

— მომესმა. ეს ქეციანები უწინდელივით მოულოდნელად ველარ დამიჭერენ.

ფანჯარასთან უფრო ახლოს დაჯდა. იარაღი გაქრა. პოლკოვნიკი თავიდან დაუბრუნდა თავისი ცხოვრების იმ დიდ სცენას.

— ეს საზიზღარი გალიციელი გვამს მივარდა, მასზე იყო შეყვარებული. ხელით ეხებოდა, მკერდზე ეფათურებდა. მუშტი მოვუქნიე, — პოლკოვნიკმა მუშტს დახედდა, — კედელს მივახეთქე. ყველაფერი აყროლებულია, მიცვალებულსაც კი აღარ სცემენ პატივს. სიბნელე ხელს ხომ არ გიშლით?

— არა.

— უკეთესი. აქედან შემიძლია, ქალაქს ვუყურო და ვიფიქრო. სულ ვფიქრობ. სიბნელეში ხომ უკეთ ფიქრობ.

ვისკი დაისხა.

— ეს ქალი შიშველი იყო, — ამბობს ისე, თითქოს მოპაექრეს ესაუბრება, — სასირცხოვო ადგილზე ნაჭერი და ფრანსიცკანული ღვევი გადავაფარე.

— უცებ გაიცინა.

— ნაჭერი მე ვიყიდე ათას ოთხას პესოდ. ეს მტკიცებულებაა, ეჰ, ასეა, მტკიცებულებაა, — მექანიკური სათამაშოსავით რამდენჯერმე იმეორებს. თითქოს, სწორედ ესაა, რასაც მიმტკიცებს.

— კუბოს შესაცვლელად დახმარება დამჭირდა. იქვე მყოფ მუშებს მივმართე.

ნარმოვიდგინე, რა დამემართებოდათ. მათთვის ხომ ქალღმერთი იყო. სანყალი ხალხი, როგორ იბეჭდავენ ხოლმე გონებაში ამბავს.

— სანყალი ხალხი?

— კი. სანყალი ხალხი, — პოლკოვნიკი თითქოს ციებ-ცხელებას ებრძვის, — მეც არგენტინელი ვარ.

— მეც, პოლკოვნიკო, მეც. ყველა არგენტინელი ვართ.

— ჰოდა, კარგი.

— ასეთი დანახეს?

— კი. წინასწარ ვუთხარი, რომ შიშველი იყო. შიშველი და მკვდარი ქალღმერთი. სრულად გარდაცვლილი, გესმით, სრულად, სრულად...

პოლკოვნიკის ხმა წარმოსახვით პერსპექტივაში დაიკარგა. ეს ფრაზა თითქოს შლიდა მის შემოსაზღვრულ შედრწუნებას. დახშული ხმა კი ღვთიურ წონასწორობას ან რაღაც მსგავსი ინარჩუნებდა.

ვისკი მეც დამისხა.

— ჩემთვის ეს არაფერია. მე მიჩვეული ვარ შიშველი ქალების ყურებას, თანაც ბევრისას. და გარდაცვლილი კაცების ყურებასაც. განსაკუთრებით პოლონეთში, 39 წელს. მე ხომ სამხედრო ატამე ვიყავი, წარმოიდგინეთ.

მინდა, წარმოვიდგინო და ვაჯამებ შიშველ ქალებს და გარდაცვლილ მამაკაცებს, მაგრამ უშედეგოდ... კუნთების მოძრაობით თავს ვიკავებ — ძალღის მსგავსად, წყალს რომ იშორებს ტანთან.



მსოფლიო მწერლობის სურნელი

„უკვე მეორე წელია, რაც ძალიან კარგ მწერლებთან შეხვედრებს გვინცობთ. საოცარი ემოცია დამიტოვა გასულ-მა კვირამ. საესე ვარ შთაბეჭდილებებით...“ — ეს ერთ-ერთი რიგითი ლიტერატურის მოყვარულის ფეისბუქგამომავურებაა თბილისის მე-2 საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე, რომელიც 16-21 მაისს მწერალთა სახლის ორგანიზებით გაიმართა.

ამჯერად გამომხატურებებს ბევრგან წააწყდებოდით და მათი ავტორები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ, რომლებიც ლიტერატურამ ერთი „საესე“ კვირით გააერთიანა. ემადლიერებოდნენ ორგანიზატორებს, რომელთა შორის წელს ქალები სჭარბობდნენ — ნატა ლომოური, ნანა ნიბლაძე, ლელა შუბითიძე, ნინო ბექიშვილი, ნინო გოგიტიძე, ანა მარგველაშვილი, თეკლე სულხანიშვილი. უმცირესობაში აღმოჩნდნენ მამაკაცები: შოთა იათაშვილი, დავით ვაბუნიას, კახა ხუნდაძე... სწორედ მათი ძალისხმევით მოხდა ის, რომ მწერალთა სახლში თანამედროვე მსოფლიო მწერლობის სურნელი დატრიალდა. კვირულმა არაერთ უცხოელ თუ ქართველ ავტორთან შეხვედრას, დისკუსიას, პოეტურ ლამესა თუ წიგნის პრეზენტაციას უმასპინძლა.

„ლიტერატურული გაზეთის“ წინა ნომერში ფესტივალის ოთხი დღის რეპორტაჟი შემოგთავაზეთ, ამიტომაც ამჯერად თქვენს ყურადღებას ბოლო ორ დღეზე შევაჩერდებით.

მანაბლის ქუჩაზე მწერალთა სახლი ისე გაეჩახჩახებინათ, შეუძლებელი იყო, გამეღელთა ყურადღება არ მიექცია. მართალია, სხვა დღეებშიც არაა ჩაბნელებული, მაგრამ იმ დღეებში მაინც განსაკუთრებით მიმზიდველი იყო და ზოგიერთი კისერნაგრძელებული და ფეხის წვერებზე შემდგარი კი ცდილობდა, დაენახა, რა ხდებოდა შიგნით და ვის სტუმრობდა ხალხით გადაჭედილი დარბაზი.

ამჯერად ქართველი მკითხველი თურქ მწერალ სადიკ იალსიზჩანლარს ხვდებოდა. ბატონი სადიკი საუბრობდა თავის შემოქმედებაზე და ასევე, ზოგადად, მიმოიხილავდა თურქულ ლიტერატურას. მწერალმა ქართული მწერლობის ნიმუშებიც მოიხმო — ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“ და ანა კალანდაძის რამდენიმე ლექსი.

ამის შემდეგ დარბაზი ამერიკული ლიტერატურის მოყვარულებით გაივსო. შეერთებული შტატებიდან ჩამოსულმა ლიტერატურათმცოდნე სიუზენ შილინგლოუმ, რომელიც ჯონ სტაინბეკის ცხოვრებისა და შემოქმედების საუკეთესო მკვლევარად მიიჩნევა, დიდი მწერლის საბჭოთა კავშირში მოგზაურობა და მის მიერ განვლილი გზა გაიხსენა — სოციალიზმისადმი თავდაპირველი სიმპათიიდან პირველი შთაბეჭდილების სრულ ნახდენამდე. ქალბატონმა სიუზენმა სტუმრებს სტაინბეკის ის ჩანაწერებიც გააცნო, მწერალმა თბილისში სტუმრობისას, 1947 და 1963 წლებში რომ გააკეთა. საინტერესო იყო ქართველ მწერლებთან შეხვედრისა და მწერალთა სახლში სტუმრობის ამსახველი სურათებიც. „ქართველები მაგრები არიან — ჩვენზე მეტს სვამენ და ილხენენ. ახლა აღარ მიკვირს, საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში ქართველებზე რატომ გიჟდებიან“. სტაინბეკის გახსენება რეჟისორ ოლიკო ჟღენცის ფილმით — „სტაინბეკი და რუსული დღიური“ — გაგრძელდა.

ფესტივალის ერთ-ერთ კულმინაციად შეიძლება, ჩაითვალოს ცნობილი ებრაელი ავტორის, ეთგარ კერეტის საღამო. მასთან შეხვედრა ათის ნახევარზე დაინყო და რომ არა მომდევნო ღონისძიების, პოეზიის ღამის, მოლოდინი, ალბათ თავზე დაათენდებოდა თავყანისმცემლებით გარშემორტყმულ მწერალს. მწერალთა სახლის ეზოშიც კი ძლივს დაიტია სტუმრები. შეხვედრის მოდერატორი დათო ტურაშვილი იყო, რომელიც, მწერალთან ერთად, ვერანდასა და ეზოში გადანიშნულ აუდიტორიის შუაგულში იჯდა. კერეტი საოცრად საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა — უშუალო, ბუნებრივი და იუმორით სავსე. საათნახევრის განმავლობაში სიცილ-კისკისის ფონზე ჰყვებოდა, როგორ დაინყო წერა, როგორ ცხოვრობს ლიტერატურით, როგორი ოჯახი ჰყავს, როგორი — ძმა, რას წერენ მასზე კრიტიკოსები, რა დამოკიდებულება აქვს ებრაელ მკითხველს, რომელი მწერლები უყვარს თავად, რატომ არ წერს რომანებს და ასე შემდეგ.


შუალამისას პროზამ ესტაფეტა პოეზიას გადასცა და ქართველ და უცხოელ პოეტთა ღამისთევაც დაიწყო.

ფესტივალის ბოლო დღეს, შაბათს, წიგნის სახლ „ლიგამუსში“ ეთგარ კერეტს ამჯერად ილიაუნის სტუდენტებმა უმასპინძლეს. მანაბელზე ფესტივალის ფარგლებში პატივსაცემად ტრადიციული შაბათის შეხვედრა გაიმართა. ბავშვებმა მოისმინეს ვასილ გულეურისა და დავით

ვაბუნიას სახალისო ლექცია, რომელსაც ასეც ერქვა — „შექსპირი ბავშვებისათვის“.

ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა გიორგი კეკელიძესთან შეხვედრა. საყვარელი ავტორის გასაცნობად, მოსასმენად და მისთვის კითხვების დასასმელად ბევრნი მივიდნენ. სულგანაბლნი ისმენდნენ საგანგებოდ მათთვის (სტუდენტებისა და უფროსკლასელებისთვის) მომზადებულ ლექციას — „პირადი გამოცდილება, როგორც ლიტერატურა“. ამ ლექციის შემდეგ, ალბათ, ახალგაზრდებს კიდევ უფრო მეტი ეცოდინებათ წერის პროცესზე, მის ტექნიკურ სირთულეებზე, მწერლურ ამოცანებსა და იმაზეც, რომ მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტი მწერლის ბიოგრაფიასთან უპირობოდ არ უნდა დააკავშირო.

ფესტივალის კულმინაციურ აკორდად კი 1971 წელს უკრაინიდან ამერიკაში ემიგრირებული პოეტის ალექს გალპერის პოეზიის საღამო იქცა. ფესტივალის კი 1929 წელს გადაღებული ფილმის — „ქალი ბაზრობიდან“ — ჩვენებით დასრულდა. სურათი ნობელიანტ იუჯინ ო-ნო-



ლის პიესის — „სიყვარული თელეპეკემ“ — ეკრანიზაცია. სპეციალურ კინოჩვენებას ცოცხალი მუსიკა აფორმებდა.

ფესტივალი დამთავრდა. უცხოელმა სტუმრებმა თბილისი დატოვეს. უნებურად მახსენდება ჯანსუღ კახიძის სიმღერა: „მოვა მაისი, მოვა...“ მოვა მაისი — საყვარელ თუ უცნობ მწერლებთან შეხვედრის უკვე ტრადიციადქცეული თვე, და ყველა — დიდი თუ პატარა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები თუ მწერლები — თბილისის მე-3 საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალს დაველოდებით. მანამდე კი... მანამდე მწერალთა სახლში არაერთი საინტერესო საღამო გველოდება.

მომზადა თამარ ჟურულმა



ლიტერატურული გაზეთი
 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
 საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
 9 772346 794004